ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათს და პარასკევს | №12 (1642) | 24 - 26 თებერვალი 1998 წ. | ფასი 50 თეთრი

# ზუგდიდი

## ტერორისტებს მხოლოდ ერთი მოთხოვნა აქვთ: დიალოგი კანონიერ ხელისუფლებასთან. კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლად მათ ნემო ბურჭულაძე დაასახელეს

როგორც ჩვენმა კორესპონდენტმა ტელეფონით გვაცნობა ზუგდიდიდან, 21 თებერვალს ზუგდიდში ჩავიდა პარლამენტართა ჯგუფი და ჟურნალისტთა კორპუსი. ადგილზე შეიქმნა საგანგებო საინფორმაციო შტაბი, რომელსაც ხათუნა ხოფერია ხელმძღვანელობს. ქალაქ ზუგდიდში ჯერჯერობით საგანგებო მდგომარეობა გამოცხადებული არაა. საინფორმაციო საგანგებო შტაბი 24 საათის განმავლობაში მუშაობს და ინფორმაციას აწვდის ყველა საინფორმაციო საშუალებებს. ჩასულია ბევრი უცხოელი ჟურნალისტი. პარალიზებულია ქ.ზუგდიდის მერიის მუშაობა. ერთადერთი ორგანიზებული ძალაა საგანგებო საინფორმაციო შტაბი. მობილიზებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროების სამსახურის, თავდაცვის სამინისტროს ძალები.

გუშინვე ზუგდიდში გაიმართა ბრიფინგი. პარლამენტარებმა ხათუნა ხოფერიამ და კახა



ჯიქიამ საინფორმაციო საშუალებებს აუწყეს, რომ მათ გუშინ ორსაათიანი მოლაპარაკება ჰქონდათ ტერორისტებთან ს.ჯიხაშკარში, იმ სახლში, სადაც მძევლები ჰყავთ დატყვევებული. ტერორისტები სამი მოთხოვნიდან ერთზე ჩამოვიდნენ - ისინი ითხოვენ დაუყოვნებლივ დაიწყოს დიალოგი კანონიერი ხელისუფლებისა და დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის. ტერორისტების ხელმძღვანელმა, გოჩა ესებუამ კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლად ნემო ბურჭულაძე დაასახელა. ბურჭულაძეს ამ ინფორმაციის შეტყობისთანავე დაურეკია ზუგდიდში და განუცხადებია, მე არაფერი ვიცი იმის შესახებ, თუ რატომ მაინცდამაინც მე დამასახელეს ტერორისტებმა კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლადო.

ტერორისტები შეხვდნენ გაეროს წარმომადგენლებს. მათთან სატელეფონო საუბარი ჰქონდათ აგრეთვე ჩეხეთისა და ურუგვაის ხელისუფალთა წარმომადგენლებს. მცდარია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხელისუფლების სპეცსამსახურები შტურმით აპირებენ მძევლების განთავისუფლებას. ასეთი გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არაა.

ჯერჯერობით ორივე მხარე ერიდება სისხლისღვრას. ხათუნა ხოფერიას განცხადებით, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ მშვიდობიანი ხერხებით მოხდეს მძევალთა განთავისუფლება. ტერორისტების თავკაცი, გოჩა ესებუა მძევლების დახოცვით იმუქრება იმ შემთხვევაში, თუ მათი პირობები არ შესრულდა.

ქალაქ ზუგდიდში არეულობას, პანიკას ადგილი არა აქვს, თუმცა დაძაბულობა მაინც იგრძნობა.

ქ.ზუგდიდი, 21 თებერვალი, 11.სთ.30.წთ.

## ტერორისტებმა კვლავ სამი მოთხოვნა წამოაყენეს

22 თებერვალს, ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა ზუგდიდიდან გვაცნობა, რომ ხათუნა ხოფერია, - საგანგებო საინფორმაციო შტაბის ხელმძღვანელი დაბრუნდა უშიშროების მინისტრთან გამართული თათბირიდან, სადაც არაოფიციალურად თქმულა, რომ ს.ჯიხაშკარის მიდამოებში უცხო შეიარაღებული ძალები გამოჩნდნენ და უსაფრთხოების ზომების მისაღებად საჭირო იქნება ჟურნალისტთა ჯგუფის შეკავებაო.

ამასთანავე, ხათუნა ხოფერიამ განაცხადა, რომ ტერორისტებმა კვლავ სამი მოთხოვნა წამოაყენეს: რუსეთის სამშვიდობო ძალებისა და მთლიანად მათი შეიარაღებული ძალების დაუყოვნებელი გასვლა საქართველოდან, დიალოგი კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და პოლიტპატიმრების განთავისუფლება.

ქ.ზუგდიდი, 22 თებერვალი 12.სთ.35.წთ.

**ტერორისტებმა ერთი მძევალი გაანთავისუფლეს. მასთან შეხვედრა ჟურნალისტებმა ჯერ ვერ მოახერხეს.**

*კობა კაკანაძე,*
*ჩვენი სპეც.კორესპონდენტი ზუგდიდიდან*
ქ.ზუგდიდი, 22 თებერვალი19.სთ.30.წთ.

## ● კომენტარი ორშაბათის ინტერვიუზე

*ყოველ ორშაბათს რადიოთი გადაიცემა საქართველოს პრეზიდენტის ე.შევარდნაძის ინტერვიუ, სადაც ლაპარაკია საქართველოს ცხოვრების მთავარ პრობლემებზე. ჩვენმა გაზეთმა გადაწყვიტა სისტემატიურად გამოეხმაუროს ამ უმნიშვნელოვანეს საუბრებს სახელმწიფო საკითხებზე.*

# პრეზიდენტი მართალს ამბობს

9 თებერვლის ინტერვიუში პრეზიდენტი ჩვენდა სასიხარულოდ გვახსენებს მიმდინარე მოლაპარაკებებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან ენგურჰესის ჰიდროტექნიკური კომპლექსის რეაბილიტაციის დაფინანსებაზე. იმ 9 მილიონი დოლარის გარდა, რომელიც ამ მიზნისთვის გრანტად უნდა მოგვცეს ევროკავშირმა, ხსენებული ბანკი სესხს მოგვცემს 40 მლნ. დოლარის ოდენობით.

პრეზიდენტის სიტყვით, გვესახება პერსპექტივა აზერბაიჯან-საქართველო-თურქეთის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა (დასავლური ინვესტიციებით) და ევრობანკთან თანამშრომლობისა, ოღონდ იმ პირობით, თუ მომხმარებლის მიერ ელექტროენერგიის ხარჯვის გადახდის საქმე მოგვარდება.

ჩვენი ქვეყნის დიდი გამოცდილების წყალობით იკვეთება ნავთობის გიგანტთან - „ამოკოსთან" დიდი თანამშრომლობის პერსპექტივები „სუფსის ინფრასტრუქტურის განვითარების" საქმეში და სხვა საქმეებში.

ნიდერლანდი კვლავინდებურად მზად არის ჩვენს დასახმარებლად. ფოთში საკონტეინერო ტვირთბრუნვისათვის საჭირო ტერმინალთა ქსელის შექმნაში. ინვესტირებას გვთავაზობს სატრანსპორტო კომპანია „სი-ლენდი".

თუმცა საგადასახადო და საბანკო სამსახურების მუყაითობამ ბიუჯეტში 19,5-15 მლნ. ლარი შემოიტანა, ამ სამსახურებს „ჯერაც ჰმართებთ გააძლიერონ მუშაობა დამატებითი რეზერვების ასამოქმედებლად" და, ალბათ, გააძლიერებენ კიდეც.

პრეზიდენტი დიაღაც მართალია, როცა მსჯელობს ტურიზმის დიდ პერსპექტივებზე საქართველოში (ჩვენი მხრიდან დავძენთ; მანამდე, სანამ საქართველოში შევძლებდეთ ფუფუნების მაძიებელი ტურისტების მიღებასაც, ჩვენ შეგვიძლია მასობრივად მივიღოთ ე.წ. დარგობრივი ტურისტები, რომლებიც ცოდნას უფრო ეძებენ, ვიდრე კომფორტს: მთამსვლელები, სპოლეოლოგები, გეოლოგები, ბიოლოგები, არქეოლოგები და სხვანი). დიდად სასიხარულოა პრეზიდენტის ცნობა, რომ საქართველოში ახლო მომავალში ჩატარდება ტურიზმის პრობლემატიკისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია.

პრეზიდენტი კვლავ ცამდე მართალია, როცა ბრძანებს, რომ „პოლიტიკის ქვაკუთხედად თანამშრომლობა უნდა გადავაქციოთ და არა ფართომასშტაბიან პროვოკაციათა ანუ „მართული ქაოსის" დოქტრინა, და გულისხმობს, რომ ამგვარი პოლიტიკის მსხვერპლი პირველ ყოვლისა ჩვენი ქვეყანაა.

პრეზიდენტი მართალია მაშინაც კი, როცა ამბობს, რომ „გაეროს უშიშროების საბჭოს თუ ეუთოს გადაწყვეტილებანი უპირობოდ უნდა სრულდებოდეს, რომელ რეგიონსაც უნდა შეეხებოდნენ ისინი - იქნება ეს სამხრეთ კავკასია თუ პლანეტის ნებისმიერი სხვა რეგიონი". „მსოფლიო თანამეგობრობას უფლება აქვს გამოიყენოს იძულების ფორმები და მეთოდები, თუ აგრესიული ძალები ჯიუტად და თავხედურად უგულებელყოფენ მის ნებას". მაგრამ ამ მართებული თეზისის რეალიზაციის პრაქტიკა კი საქართველოს პრეზიდენტის მიმართ შენიშვნას მოითხოვს...

კიდევ და კიდევ მართალია პრეზიდენტი და სასიხარულო ამბავსაც გვაცნობებს, როცა ბრძანებს, რომ დღეს, „ერთი უმთავრესი მიზანია კორუფციის დაძლევა", რომ კორუფცია არის „სიმსივნე" და რომ მასთან საბრძოლველად განზრახულია შეიქმნას ადამიანთა ისეთი ჯგუფი, „რომელიც მისი თითოეული წევრის ზნეობრივი სისპეტაკის, შეურყეველი ავტორიტეტის გამო საყოველთაო ნდობით იქნება გარემოცული და მიიღებს შესაბამის მანდატს, დაუნდობელი პრინციპული ბრძოლა გააჩაღოს სახელმწიფოსა თუ ხელისუფლების ყველა სტრუქტურაში კორუფციის აღმოსაფხვრელად". ეს სასიხარულო ცნობაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, შენიშვნას იწვევს.

ამ მართებულ დებულებათა გარდა, რომელთა დიდი ნაწილი მომავალს ეხება, ინტერვიუში არის ჩვენთვის საეჭვო თეზისებიც, რომელსაც ქვემოთ შევეხებით.

გაგრძელება მეორე გვერდზე

# თავდასხმა პრეზიდენტზე!



## ინტერვიუ ნოდარ ნათაძესთან

მესამე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განთავისუფლებულია ერთი მძევალი

**განთავისუფლებულია** ურუგვაის მოქალაქე ხულიო ნავადი, რაც ფაქტიურად დღევანდელი მოლაპარაკების შედეგია ჯ.გახოკიძესა და ტერორისტებს შორის. იგი ესაუბრა ესებუას. მისი განთავისუფლების შემდეგ მინისტრმა (ჯ.გახოკიძემ) გამართა პრესკონფერენცია. აღნიშნა, რომ იმის თქმა, რატომ გაათავისუფლეს მძევალი, მისი მხრიდან პროცედურის დარღვევა იქნებოდა. ფაქტიურად, დღეს ტერორისტებმა სახლი უფრო გაამაგრეს, არაა გამორიცხული გამწვავება. ჩემს შეკითხვაზე, ხომ არაა ესებუა გამოყენებული იარაღად, მინისტრმა პირდაპირი პასუხისგან თავი შეიკავა და დასძინა, რომ ამ კითხვას გამოძიება უპასუხებს.

მეორე შეკითხვა იყო: ესებუას ოჯახში მითხრეს, რომ იგი თურმე 1993 წლიდან არ გამოჩენილა. უშიშროების სამინისტრომ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე იცის ის ადგილი, სადაც მან ეს წლები გაატარა? მოპასუხემ დასძინა, რომ ესებუა ამ ხნის მანძილზე სხვა სახელმწიფოში მოქმედებდა, მაგრამ ეს არაა გამოსატანი წინა პლანზე. მის ნათქვამზე დაყრდნობით გაცნობებთ, რომ სოფლის მისასვლელები გამაგრებულია სპეც.დანიშნულების რაზმებით. მობილიზებულია შს და უშიშროების ძალები. პოზიცია არის: არავითარ პოლიტიკურ მოლაპარაკებაზე არ წავალთ, რადგან ტერორისტებს არ შეიძლება ველაპარაკოთ ასეთ საკითხებზე, რაც სახელმწიფოს მოწყობას და საერთაშორისო შეთანხმებებს ეხება. გავესაუბრე ესებუას მეზობლებს, რომლებიც მას ფაქტიურად არ იცნობენ. დღეს ქალაქში სიტუაცია ნორმალურია. დენი სულ არის. ქალაქი გამაგრებულია. არის სათავდაცვო მზაობის მდგომარეობაო, გამორიცხულია სისხლისღვრაო. ვეცდებით, მშვიდობიანად მოვაგვაროთ ყველაფერიო.

მიუხედავად ზუგდიდის დროებითი საინფორმაციო შტაბის ხელმძღვანელთა დაჟინებული მოთხოვნისა, ამ ეტაპზე არ მოხერხდა ტერორისტებთან ჟურნალისტთა იმ მრავალრიცხოვანი არმიის მისვლა, რომელნიც ქალაქში არიან. სამაგიეროდ, პრესკონფერენციები ბევრია, 22.02 14 სთ–ზე შეხვედრაზე, რომელსაც უშიშროების მინისტრის მოადგილე ქვანია უძღვებოდა, საკმაოდ დამაიმედებელი ფრაზები გაისმა. მისი თქმით, ტერორისტებთან მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა, რაც აუცილებლად გამოიღებს შედეგს მშვიდობის დამყარებისათვის. შედეგი თავის მხრივ იქნება საწინდარი მშვიდობის დამყარებისა.

ამასთანავე გატაცებულთა უსაფრთხოების გარანტიებზე ლაპარაკი ნაადრევად მიაჩნია. ჟურნალისტების შემთხვევის ადგილზე მისვლის წინააღმდეგი კვლავ უშიშროების სამსახურია. არ ვიცით, ეს მართლაც უსაფრთხოებისთვისაა გამიზნული თუ დაინტერესებულთა მიერ მოგონილი ფანდია ინფორმაციის მონოპოლიზებისთვის. მაგრამ უშიშროების სამინისტრო თავის საქმიანობის ამ გეზს ასე თუ ისე მაინც ასაბუთებს და ზემოხსენებულის მიზეზად ასახელებს საფრთხის არსებობას, ვითარების ცვალებადობას და არასასურველი ინფორმაციის არსებობას. გარემოების ეს ნაწილი ეჭვს ბადებს, ხომ არ სდევს ამ მოქმედებაში საწყისი, რამაც შეიძლება არასასურველი შედეგი გამოიღოს.

**კობა კაკანაძე, ზუგდიდი**
**22 02. 24 სთ. 00 წთ.**



გოჩა ესებუა

## კომენტარი ორშაბათის ინტერვიუზე

# პრეზიდენტი ცდება

პირველი გვერდიდან

**პრეზიდენტის** იმედი, რომ იგი შექმნის პატიოსან და ყველასათვის სანდო ადამიანთა ჯგუფს კორუფციასთან საბრძოლველად და რომ ეს გუნდი წარმატებით შეებრძოლება კორუფციას, სამწუხაროდ, უტოპიაა შემდეგი მიზეზების გამო. პირველი. პრეზიდენტი ამ გუნდს ვერ შექმნის, ვინაიდან დღევანდელი მმართველი ჯგუფი – ანუ იმ ადამიანთა წრე, ვინც შევარდნაძის პარტიაში (მოქალაქეთა კავშირში) შედის, ვინც მის მიერ დანიშნულია თანამდებობებზე ან დანიშვნას ელის, მასთან მისულია მხოლოდ და მხოლოდ გამორჩენის (ანუ მატერიალური კეთილდღეობის და ძალაუფლების მოპოვების) განზრახვით და არა სასიკეთო საქმის გაკეთების განზრახვით. ასეთ ადამიანთაგან ის გუნდი, პრეზიდენტი რომ ოცნებობს, ვერ შეირჩევა. რატომ არიან მის გუნდში მხოლოდ ასეთი ადამიანები? იმიტომ, რომ მისი პოლიტიკა, რომელიც ამ ბოლო ექვს წელიწადში უკვე ნათლად გამოჩნდა, **არ არის** არც ერის, არც სამართლიანობის, არც ადამიანთა მასობრივი კეთილდღეობის, არც სხვა რამ **ისეთი ამოცანის სამსახური, რომელსაც შეუძლია ადამიანის ზნეობრივი დაინტერესება წარმოშვას და ამით მისი სულიერი და ფიზიკური ძალების მობილიზება მოახდინოს.** კორუფციასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას რომ სჭირდება, ისეთი ადამიანები შევარდნაძის მმართველ გუნდში არ არიან.

**მეორე მიზეზი.** თუნდაც პრეზიდენტის გარშემო დარაზმულ მმართველ წრეში, ანუ პრეზიდენტისთვის ცნობილ და სასურველ ადამიანთა წრეში მოიძებნონ ისეთი ადამიანები (როგორც მოიძებნა, მაგალითად, ქ-ნი ელენე თევდორაძე, რომელიც უანგაროდ მუშაობს, მაგრამ, მუშაობის შინაარსის მიხედვით, არავის ჯიბეს არ ეხება), ისინი კორუფციასთან ბრძოლას ვერ შეძლებენ. მათ არ აბრძოლებენ კორუფციასთან. უფრო მეტიც – მათ არ აბრძოლებს და ვერ აბრძოლებს თვით პრეზიდენტი შევარდნაძე, რადგან პრინციპული ბრძოლა ამ მოვლენასთან ანუ ტოტალური ბრძოლა მასთან (ანუ ბრძოლა მის ყოველ მნიშვნელოვან გამოვლინებასთან) ნიშნავს ბრძოლას იმ პრივილეგიურ მრავალრიცხოვან ჯგუფთან, რომელიც დღეს პრეზიდენტის პოლიტიკურ ლაშქარს და მის საყრდენს შეადგენს. თუ ამ გუნდის შეზღუდვა, როგორც იტყვიან, ხელჩართულ ბრძოლაში გადავა, მაშინ პრეზიდენტი იძულებული იქნება ეს შეტევა კორუფციაზე თვითონვე შეაჩეროს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ან მარტო რჩება ან მისივე მოზიდული მმართველი ფენა (ხელისუფლებაში მის მიერ ჩაბმული მთელი წრე) მისი მტერი ხდება.

ისეთი ადამიანების მოზიდვა კორუფციასთან საბრძოლველად, როგორებზეც შევარდნაძე ოცნებობს, შეუძლია მხოლოდ ზნეობრივად მიმზიდველი პოლიტიკის გამტარებელ მთავრობას. ასეთი კი, ჩვენს პირობებში, მხოლოდ ეროვნული მიზნების სამსახურში მდგომი მთავრობა შეიძლება იყოს.

# პრეზიდენტი ტყუის

**ინტერვიუში** პრეზიდენტი ბრძანებს: მინდა რადიომსმენელმა იცოდეს და ძალიან ყურადღებით მოუსმინოს იმას, რასაც ახლა ვიტყვი: „უკვე კარგა ხანია მიმდინარეობს ინტენსიური კონსულტაციები უშიშროების საბჭოს იმ წევრებთან, რომლებიც „მეგობრების" ჯგუფს შეადგენენ, აგრეთვე, ამ ჯგუფში ჩართულ გერმანიასთან. ვთათბირობთ თანამეგობრობის ცალკეულ ქვეყნებთანაც, გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან ლივიუ ბოტასთან. შეიძლება დღეს კიდევაც შევხვდე მას ისევე, როგორც ამას წინათ მქონდა მასთან დიალოგი. ეს საკითხი რუსეთის შესაბამის ხელმძღვანელობასთან მუდმივი განხილვის საგანია.

რახან ჩვენ დავთანხმდით კონფლიქტის მოგვარების სრულ ინტერნაციონალიზაციას, არ შეიძლება ანგარიშში არ გავუწიოთ მათს პოზიციას, ესე იგი, იმ ქვეყნების პოზიციას, რომლებიც ამ პროცესში მონაწილეობენ. ამიტომაც, ამ კონსულტაციებს დიდი მნიშვნელობა ექნება. მათ გარეშე, ესე იგი, ამ ქვეყნების გარეშე შეუძლებელია გადაწყდეს სამშვიდობო ძალების დღევანდელი კონტინგენტის ჩანაცვლების საკითხი, ხოლო თუ ჩანაცვლების პრობლემა არ მოგვარდება, შეიძლება უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდეს ენგურის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობა (ამ მოსახლეობის აზრი, არათუ ანგარიშგასაწევი, არამედ, გადამწყვეტიც უნდა იყოს). არ შეიძლება არ ვიფიქროთ ქვეყნის ელექტროენერგიით მკვებავ ძირითად არტერიაზე – ენგურჰესზე, რომლის კონტროლი მთლიანად მეორე მხარის ხელში აღმოჩნდება, რასაც უმძიმესი შედეგები მოჰყვება.

აქტიური დიალოგი მიმდინარეობს აფხაზ ხელმძღვანელებთანაც. ამ დღეებში მინისტრების ჯგუფი ბატონ ნიკო ლეკიშვილის ხელმძღვანელობით კვლავ ჩავა სოხუმში. შემდეგ მათს წარმომადგენლებს მივიღებთ თბილისში. ერთი სიტყვით, მთელი ეს, როგორც იტყვიან, „სამზარეულო" ამუშავებულია, მათ შორის, ორმხრივი დიალოგიც, რომლის შესახებაც არა ერთხელ გვილაპარაკია წინა წლებში და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად კიდევ რამდენიმე კვირა დაგვჭირდება".

ეს მსჯელობა, გარდა ცნობისა, რომ „მეგობარ ქვეყნებთან მოლაპარაკება მიმდინარეობს" (ამის შემოწმება ჩვენ არ შეგვიძლია) ტყუილია თავიდან ბოლომდე. ჯერ ერთი, კონფლიქტის „ინტერნაციონალიზაციას" დასთანხმდა მაშინდელი პარლამენტის უკითხავად მხოლოდ სახელმწიფოს მეთაური შევარდნაძე და მისი გუნდი მისი მთავარი ემისრის ჯაბა იოსელიანის მონაწილეობით, ასე რომ გამოთქმა „ჩვენ დავთანხმდითო" სწორი არ არის. მეორეც, ეს თანხმობა დანაშაულებრივი შეცდომაა, ვინაიდან კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციას მხარეთა ინტერესების ორმხრივი გათვალისწინება ახლავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კონფლიქტი ორი სახელმწიფოს ანუ ორი უკვე არსებული მხარის კონფლიქტია და მესამეებს მხოლოდ არბიტრად იწვევენ. ჩვენ შემთხვევაში კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციით შეიქმნა მეორე „მხარე" ანუ არძინბას ხროვას მის დაპატიმრებაზე სანქციის გაცემის ნაცვლად „მხარის" სტატუსი და აფხაზეთის წარმომადგენლობის სტატუსი მიენიჭა. მესამეც, მესამე ქვეყნების ინტერესები პრინციპულად არ შეიძლება ზუსტად იგივე იყოს, რაც საქართველოს ინტერესები, რომლის ტერიტორიასაც ეხება საქმე (შეიძლება ისინი მხოლოდ თანხვდებოდნენ ერთმანეთს დიდ ნაწილში). მეოთხეც, საერთაშორისო საზოგადოებრიობის და მეგობარი ქვეყნების პოზიციის „ანგარიშის გაწევა", როგორც პრეზიდენტი ბრძანებს, არ ნიშნავს უფიქრალსა და უკრიტიკო მიყოლას მათი ნებისადმი. არსებობს ქვეყნებში უმრავლესობასა და უმცირესობას, ხელისუფლებასა და მოსახლეობას, კანონსა და კანონდამრღვევს შორის ურთიერთობის საერთაშორისოდ აღიარებული ნორმები, რომელთაც, მათი დამაფორმულებელი და მიმღები საერთაშორისო ორგანიზაციების აზრით მაინც (ეუთო, გაერო და სხვანი), საერთაშორისო სამართლის ნორმათა სტატუსი აქვთ იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ამ ორგანიზაციათა წევრები არიან. საქართველოს ხელისუფლების მოვალეობაა, ყველა მოლაპარაკებებში, მეგობარ ქვეყნებთან მოლაპარაკების ჩათვლით, არა მხოლოდ დაიცვას ამ ნორმათა მოთხოვნები, არამედ დაიცვას საქართველო მათი ცუდად ინტერპრეტაციისაგან ან ისეთ მოთხოვნათა წამოყენებისაგან ჩვენი ქვეყნის მიმართ, რომლებსაც ეს ნორმები არ ითვალისწინებს. მოვიყვან მაგალითს. არც ერთი საერთაშორისო ნორმა არ მოითხოვს, რომ ეროვნულ უმცირესობას, როგორც კი იგი ტერიტორიის რომელიღაცა ნებისმიერად მოხაზულ ნაწილში უმრავლესობას მიაღწევს, ტერიტორიული ავტონომია მიენიჭოს და ტერიტორიის ამ ნაწილს მისი სახელი დაერქვას. საქართველოს პრეზიდენტი კი მზადაა საქართველოში შექმნას „სამხრეთ ოსეთი" (ანუ სამომავლოდ დააკარგვინოს საქართველოს ეს ტერიტორია) იმის ნაცვლად, რომ თქვას: „ასეთი ნორმა არ არსებობს. ჯერ შევქმნათ ასეთი ნორმა და მერე გავავრცელოთ იგი მსოფლიოს ყველა ქვეყანაზე უკლებლივ, საქართველოს ჩათვლით". ეს კაპიტულანტური პოზიცია მოღალატურია ამ სიტყვის სრული აზრით. ასეთია იგი აფხაზეთის საკითხშიც, მით უფრო, რომ იმ ქვეყნებს შორის, რომელთა „იმედიც" თითქოს პრეზიდენტს აქვს, ჩვენი დიდად არამეგობარი ქვეყანაც – რუსეთიც – მონაწილეობს, რომელმაც აფხაზეთში ომი დაგვიწყო, ჩაატარა და – დღევანდელი მდგომარეობით – მოგვიგო. მეხუთეც, ქვეყნის ერთი ნაწილის მოსახლეობის აზრი (ამ შემთხვევაში ლაპარაკია ენგურის აქეთ-იქით მოსახლეობაზე) არასოდეს არ არის და არასოდეს არ ყოფილა არც ერთ ქვეყანაში „გადამწყვეტი" ფაქტორი სტრატეგიულ საკითხთა რეგულირებისათვის. გადამწყვეტია ქვეყნის, როგორც მთელის, ინტერესი, რომელსაც ხელისუფალი ასახიერებს, თუ იგი ვარგა (მოსახლეობის აზრი რომ არძინბას „აფხაზეთის ხელმძღვანელად" აღიარებას არ ეთანხმება, ამაზე აქ აღარას ვამბობ). მეექვსეც, ენგურჰესი, რაც უნდა დიდი იყოს ამ ობიექტის მნიშვნელობა ჩვენი ენერგეტიკისთვის, ვერ გადაწონის საქართველოს ტერიტორიულ ინტერესებს. ასე რომ დასაბუთება, არძინბასთან ნებისმიერ ფასად საერთო ენა უნდა მოვენახოთ, თორემ ენგურჰესის „კონტროლი" მის ხელში იქნებაო, საბუთი არ არის.

მეშვიდე და მთავარი. სამშვიდობო ძალების ჩანაცვლება ანუ რუსეთის მტრული შეიარაღებული ძალების ნაცვლად აფხაზეთში ჩვენი მეგობარი ან ნეიტრალური ძალების ჩაყენება (მთლიანად აფხაზეთში და არა ენგურზე, რადგან ეს „საზღვრის" გავლებას ედრებოდა), როგორც ჩანს, მსოფლიოს ინტერესია (კავკასიისადმი დიდი ინტერესიდან გამომდინარე) და შევარდნაძის მთელი პოლიტიკა ამ ექვსი წლის მანძილზე ამ ჩანაცვლების წინააღმდეგაა მიმართული. მისი არდაშვება (რაც, რა თქმა უნდა, რუსეთის უპირველესი სურვილია) შევარდნაძის მთელ პოლიტიკას მართავს. საქმე ის გახლავთ, რომ „ბოსნიის ვარიანტი" ან ჩანაცვლების სხვა ფორმა გულისხმობს ჯერ პოლიტიკურ გადაწყვეტას (თუნდაც საქართველოს კონსტიტუციაში ამა თუ იმ ფორმულირების შეტანის სახით დაწყებული) და, მეორეც, შეიარაღებული კონფლიქტის არსებობას, რომელსაც გაზავება სჭირდება. თავისი არძინბასადმი მიცემული პირობით, ქართველ პარტიზანებს აფსუა კაცისმკვლელებთან და მათ რუს დამხმარეებთან ერთად შევებრძოლებიო, შევარდნაძემ იმის იურიდიული კონსტატაცია მოახდინა, რომ აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტი აღარაა. ხოლო კონფლიქტის ზემოხსენებული „ინტერნაციონალიზაცია" იმას ნიშნავს, რომ საქართველო უარს ამბობს თვითონ გადაწყვიტოს, როგორ წარმოუდგენია და როგორ აპირებს, რომ განსაზღვროს აფხაზეთის და მისი მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიების სტატუსი საქართველოს ერთიან სახელმწიფოში.

აფხაზეთში ჩვენი პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზა რამდენსამე ღონისძიებას მოიცავს. პირველი და მთავარი: არსებული კონფლიქტი საქართველოს მიერ ფიქსირდება როგორც საქართველოს და რუსეთის შეიარაღებული კონფლიქტი და როგორც საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული ინტერესთა დაპირისპირების შედეგი. მეორე. არძინბას ხროვა ფიქსირდება როგორც რუსეთის მიერ ინსპირირებული დამნაშავე ჯგუფი. მესამე. არსებული ნორმების (მათ შორის – საერთაშორისოდ მიღებული უფლებადაცვითი ნორმების) სრული გათვალისწინებით და როგორც ქართული, ისე აფსუური ინტერესების სრული გათვალისწინებით (რადგან დღევანდელ სეპარატისტთა დანაშაულები ვერანაირად ვერ დაეკისრება მომავალ თაობებს) დგება საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის სტატუსის და აფხაზეთის შიგნით მოსახლეობის და ტერიტორიების სტატუსის განმსაზღვრელი მკაფიო ფორმულირება, როგორც საქართველოს სახელმწიფოს პოზიცია, და მიიღება ყველა ზომა ამ პოლიტიკური გადაწყვეტის რეალიზაციისათვის.

მოწინავე მსოფლიოს მიერ ჩვენი საქმის თანაგრძნობის, გამართლების, მხარდაჭერის თუ სამშვიდობო ძალით დახმარების ფაქტორი ემატება ამ ძირითად ხაზს, მაგრამ არ ცვლის მას.

**შემატკივარი**

## საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის

# განცხადება

შეშფოთებულნი ვართ საქართველოს პრეზიდენტზე ტერორისტული თავდასხმის გამო და თანაგრძნობას ვუცხადებთ პრეზიდენტის დაცვის იმ მებრძოლთა ოჯახებს, რომლებიც დაიღუპნენ ტერორისტული აქტის დროს.

9 თებერვლის ღამით მომხდარი ტერორისტული აქტი პრაქტიკულად ვერ დადგება ეჭვის ქვეშ, როგორც საქართველოს პრეზიდენტის სიცოცხლის სერიოზული ხელყოფა, რომელიც განხორციელდა დიდი ორგანიზაციისა და მომზადების შედეგად. ეს აქტი სხვაგვარად ვერ აიხსნება, თუ არა როგორც დღეს საქართველოსადმი აგრესიულ პოზიციაში მდგომი სხვა სახელმწიფოს სპეცსამსახურის მოქმედება. სრულებით უეჭველია, რომ ეს უცხო ძალა იბრძვის საქართველოში ჯერ მრავალთვიანი ან მრავალწლიანი ქაოსის ორგანიზაციისათვის, ხოლო შემდეგ – საქართველოს ხელისუფლებაში თავისი კიდევ უფრო ერთგული და ყურმოჭრილი აგენტურის მოყვანისათვის, ვიდრე ოდესმე ჰყოლია. ეს ტერორისტული აქტი განხორციელებულია ისეთ დროს, როცა ამიერკავკასიაში მნიშვნელოვანი ახალი მოვლენები მწიფდება; პრაქტიკულად ეჭვს გარეშეა, რომ ეს აქტი ერთ-ერთი რგოლია ქმედებათა იმ ჯაჭვში, რომელთა მიზანია ამიერკავკასიაში რუსეთის შეუვალი გავლენის აღდგენა და ამ საფუძველზე შორსმწვდომი გეოპოლიტიკური უპირატესობების მოპოვება.

ის, რაც მოხდა და რაც შეიძლებოდა მომხდარიყო, სრული კატეგორიულობით აკისრებს საქართველოს ხელისუფლებას და პირველ ყოვლისა მის პრეზიდენტს შემდეგი ორი ღონისძიების განხორციელებას.

ჯერ ერთი, დაუყოვნებლივ უნდა იქნას პოლიციის მიერ კონტროლზე აყვანილი, ხოლო შემდეგ საქართველოს ტერიტორიიდან მოცილებული რუსეთის სამხედრო ბაზები, როგორც ის კერები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია რუსეთის სპეცსამსახურების მუდმივი ხელმძღვანელობა, მომარაგება, შეიარაღება და მფარველობა საქართველოს სახელმწიფოში.

მეორეც, უნდა დაუყოვნებლივ შეიქმნას და შესაფერისი ქმედუნარიანი პიროვნებებით დაკომპლექტდეს სახელმწიფო ხელისუფლების ისეთი სტრუქტურა, რომელიც შეძლებს სახელმწიფოს გაძღოლას პრეზიდენტისთვის ახალი საშიშროების შექმნის შემთხვევაში.

პრეზიდენტისა და პარლამენტის მოვალეობას, რომ განახორციელოს ეს ორი აუცილებელი ღონისძიება, ვერ დაჩრდილავს ვერც დღევანდელი დღის მღელვარება, ვერც საქართველოში არსებული რომელიმე პოლიტიკური პრობლემა. მისი არშესრულება ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ სვლაა.

10.II.1998 წ.

* * *

*ეს განცხადება კომენტარს საჭიროებს, პირველ ყოვლისა. მკითხველს ვთხოვთ წაიკითხოს საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის წინა განცხადება (9 თებერვლისა) „საქართველოს" წინა ნომერში. შემდეგ კი ვთხოვთ გაითვალისწინოს შემდეგი:*

*ელცინის განცხადება, რომ ერაყში სერიოზული სამხედრო გართულების შემთხვევაში შესაძლებელია მესამე მსოფლიო ომი, უბრალოდ რომ არ გახლავთ. ეს განცხადება მეტყველებს, ჯერ ერთი რუსეთის შეტევით პოზიციაზე დღევანდელ საგარეო პოლიტიკაში საერთოდ, მეორეც, იმაზე, რომ მას თავის მთავარ პარტნიორთან – დასავლეთთან – რაღაცა არაოფიციალური შეთანხმების იმედი აქვს. კერძოდ, არაა გამორიცხული, რომ რუსეთი მზადაა დათმოს თავისი ინტერესი რომელსამე სხვა რეგიონში, რათა კავკასიასა და ამიერკავკასიაში კიდევ ერთი აგრესიის „ნებართვა" მიიღოს. თბილისი ბაღდადიდან სულ 900 კმ-ის მანძილზეა. აზერბაიჯანში რუსეთს ჰყავს სულ ცოტა ორი საველე არმია, რომელსაც ჩეჩნეთის ოპერაციებში მონაწილეობა არ მიუღია, და მათ უკან – ერთი სატანკო არმია. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ დასავლეთი, როგორც იტყვიან, „ჩაეფლობა" ერაყის ოპერაციაში, რუსეთს გადაწყვეტილი აქვს ისარგებლოს ამ „ტაიმაუტით" და თავისი „პოზიციები" სამხედრო ძალის გამოყენებით თურქეთამდე წამოსწიოს.*

*იმათ, ვინც არა მხოლოდ დღევანდელ მშვიდობაზე ფიქრობს, არამედ ქვეყნის მომავალზეც, შევახსენებ: ერთადერთი სახის დათმობა და კაპიტულაცია, რომელიც ჩვენს ქვეყანას გამოუსწორებელ ზიანს მოუტანს, იურიდიული დათმობა და კაპიტულაციაა. თავის ზემოხსენებულ ოპერაციებში, რომლებიც უკანონოა, რუსეთი საბოლოო ჯამში გარდუვალად დამარცხდება. ერთადერთი, რისი იმედიც მას ამ ოპერაციათა დაწყებით აქვს, არის იურიდიული უპირატესობების მოპოვება კავკასიისა და ამიერკავკასიის ქვეყნებისათვის კაბალური შეთანხმებების თავს მოხვევის, მათი კონსტიტუციურად დანაწევრების და მათი ტერიტორიების ამა თუ იმ ფორმით მიტაცების გზით. აქედან გამომდინარეობს საქართველოს ხელისუფლების პირველი მოვალეობა – იურიდიულად არ დათმოს – და რუსეთის ფარული აგენტურის პირველი დავალება – საქართველო იურიდიული დათმობისკენ წაიყვანოს.*

ნოდარ ნათაძე

## სატელევიზიო ცილისწამების წინააღმდეგ

ამ რამდენიმე დღის წინ საქართველოს ტელევიზიამ გადმოსცა განცხადება, თითქოს გაზ. „საქართველოს" რედაქტორი, დირექტორი და რედაქცია გადადგა „პროტესტის ნიშნად". ეს ტყუილია. აი, განცხადების ტექსტი:

*„გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ ნოდარ ნათაძეს, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნულ კომიტეტს*

*გაზეთ „საქართველოს" მთავარი რედაქტორის ნოდარ გრიგალაშვილის განცხადება*

*გთხოვთ, მიიღოთ ცნობად, რომ ვტოვებ გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრობას, პარტიის წევრობას და გაზ. „საქართველოს" მთავარი რედაქტორის თანამდებობას."*

ნ.გრიგალაშვილი

15.02.98 წ.

რედაქციის შეცვლა საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნულმა კომიტეტმა გადაწყვიტა ამ განცხადების მიღებამდე ერთი კვირით ადრე იმის გამო, რომ რედაქტორმა ვერ გაართვა თავი ფინანსური დისციპლინის უზრუნველყოფის ამოცანას. ტელევიზიას ვურჩევთ შეამოწმოს ფაქტები, რომელზედაც განცხადებებს აქვეყნებს.

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტი

23 თებერვალი, 1998 წელი

# თავდასხმა პრეზიდენტზე!

## ინტერვიუ ნოდარ ნათაძესთან



*– გავიდა დრო. გარდა ერთი პრინციპული განცხადებისა 9 თებერვლის თავდასხმის შესახებ, (იხ. ამავე ნომერში, გვ.) რომელიც გაკეთდა 10 თებერვალს, საქართველოს გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიას თავისი აზრი და პოზიცია არ გამოუთქვამს ამ მოვლენის განვითარებასთან დაკავშირებით. შეგიძლიათ თუ არა გამოთქვათ თქვენი აზრი ყოველივე იმაზე, რაც მას შემდეგ მოხდა?*

– დიახ, მოგახსენებთ. პირველ ყოვლისა, საყურადღებოა რამდენიმე ახალი შეუსაბამობა, რომელიც დაემატა პირველს – ტერორისტული თავდასხმისათვის წასული კაცის ჯიბეში მისი პასპორტის პოვნას. კერძოდ, წარმოუდგენელია, რომ მკვლელობის შემკვეთს ვიდეოკამერა სჭირდებოდეს იმის გასაგებად, თავდასხმის ობიექტი ცოცხალია თუ არა. ხოლო თუ ვიდეოკამერა სჭირდებოდათ სხვა მიზნისთვის, მაგალითად, იმის დაფიქსირებისათვის, თუ რომელმა ტერორისტმა როგორ „იმუშავა" ოპერაციის დროს, მაშინ წარმოუდგენელია, რომ ეს ვიდეოკამერა იმავე ადამიანებისათვის ჩაებარებინათ, რომლებმაც თავდასხმა მოახდინეს. გაოცებას იწვევს ისიც, რომ ვიდეოჩანაწერის ხელთ ჩამგდებმა საძიებო ორგანოებმა, რომლებმაც უკვე მოახდინეს ამ ჩანაწერის ნაწილობრივი პუბლიკაცია, სახელდობრ, იგი ტელევიზიით აჩვენეს, არ გამოაჩინეს ამ ჩანაწერის ყველაზე დრამატული და ინფორმაციულად მნიშვნელოვანი ნაწილი – პრეზიდენტის გზა ცეცხლმოდებული „მერსედესიდან" გარიკას „ჟიგულამდე". მე, რა თქმა უნდა, არ ვაყენებ ჰიპოთეზებს, ასეთი ნაწილი იმ ვიდეოჩანაწერს აქვს თუ არა აქვს. არაადამიანურად მშვიდია ამ თავდასხმის გამო დაპატიმრებული შუა ხნის „ტერორისტის" საუბარი ვიდეოჩანაწერში, რომელშიც იგი ტერაქტის დეტალებს აღწერს. ასე რომ, თუკი ლიტერატურულ პერსონაჟებსაც თავისი ადგილი აქვთ საიქიოში, ყველაზე მხიარული კაცი იმ ქვეყნად დღეს, ალბათ, შერლოკ ჰოლმსია: უყურებს ჩვენი საძიებო ორგანოებისა და შესაბამისი „სამსახურების" მუშაობას და სიცილით იგუდება. ჩვენ არ გვეცინება, თორემ მას არაფერი აკლდება!

ჭორებს და წმინდა-თეორიულად მოფიქრებულ კითხვებს, როგორიცაა „იყო კი თავდასხმა?", „რატომ არ იდგა ტრასაზე პოლიცია?", „იყო თუ არა „მერსედესში" შევარდნაძე?" და ა.შ, რასაკვირველია, ვერ ავყვებით. მაგრამ ორი მეთოდურად საფუძვლიანი კითხვა კი მაქვს. პირველი: როგორ მოხდა, რომ ეჭვმიტანილთა აყვანისთანავე „გაირკვა" მათი მოქმედების მოტივი, სახელდობრ, რომ ისინი ზვიადისტები ყოფილან და მათს მამოძრავებელ სტიმულს „რადიკალური ნაციონალიზმი" ანუ – მარტივი ენით რომ ვთქვათ – შევარდნაძის ანტიეროვნული პოლიტიკისადმი წინააღმდეგობის სურვილი წარმოადგენდა? და მეორე: როგორ მოხდა, რომ არაგველთა ობელისკთან ცენტრალურ მაგისტრალზე, რომლის აქეთ-იქით სულ ორი კმ-ის მანძილზე რამდენიმე ძალოვანი უწყების შეიარაღებული რაზმებია დისლოცირებული, 15 წუთის მანძილზე ისე მიმდინარეობდა სროლა, რომ იქ არავინ მივიდა? მეორე კითხვა: თუ მხოლოდ თავდასხმის შესრულებისა და მოგერიების ტექნიკას ეხება, პირველი საკითხს, როგორც იტყვიან, შიგ კაკალ გულში ჰხვდება ანუ მის პოლიტიკურ შინაარს ეხება. ის საინფორმაციო პოლიტიკა, რომელიც ხელისუფლებამ ამ აქტთან დაკავშირებით აირჩია, პირდაპირ არის მიმართული იქითკენ, რომ რუსეთს მოაცილოს ტერორიზმის მფარველი და ორგანიზატორი სახელმწიფოს სტატუსი, რომელიც მას გარდუვალად ემუქრება იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდა მისი ხელის მონაწილეობა 9 თებერვლის ხლომილებაში. არის მესამე კითხვაც, რომელიც, პირველი ორისგან განსხვავებით, ვერ უძლებს ტესტირებას მეთოდოლოგიური სიმკაცრის მხრივ, მაგრამ ბუნებრივი კი არის, საქართველოს დღევანდელ ხელისუფალთა კარგად ცნობილი გემოვნებიდან გამომდინარე: ის, რომ საქართველოს პრეზიდენტი და მასთან ერთად – თვით საქართველოც ამჯერად ბატონმა გარიკამ გადაარჩინა (ავტოინსპექტორმა, რომელიც თავისი „ჟიგულით" იქვე იდგა შემთხვევით) მეტისმეტი სიზუსტით ხომ არ ეთანადება „კომკავშირული ინტერნაციონალიზმით" გამსჭვალული რეჟისურის სულისკვეთებას?

მაპატიეთ, რომ ჯერჯერობით მხოლოდ მეორეხარისხოვანზე ვლაპარაკობ. პირველხარისხოვანი ის არის, რომ ტერაქტის წარმატების შემთხვევაში ქვეყანას მოელოდა ქაოსი თვეების ან წლების მანძილზე. ესეც პრეზიდენტის ბრალი გახლავთ, რომელმაც თავისი ბერწი, მაგრამ ბერწი პოლიტიკით – ან, თუ გნებავთ, ცბიერი, მაგრამ ბერწი, უნაყოფო პოლიტიკით ისე ჩაჭრა საზოგადოების მიერ თავისი თავის რეგულირების ყველა ბუნებრივი მექანიზმები, რომ წესრიგის საწყისად მხოლოდ თავისი თავი დატოვა. მთავრობის მეთაურ პრეზიდენტს უსათუოდ ესაჭიროება ვიცე-პრეზიდენტი – იმავე ფუნქციების ყოველდღიურად მატარებელი კაცი, რაც პრეზიდენტს აქვს, ოღონდ ერთი საფეხურით უფრო დაბალი რანგისა, რომელიც ორგანულად გააგრძელებს საქმეს პრეზიდენტის ასპარეზიდან წასვლის შემთხვევაში.

*– ლაპარაკია „რუსულ კვალზე" ამ თავდასხმის ორგანიზაციაში, თქვენი აზრი ამის შესახებ.*

– ამ კვალის ბევრნი ვარაუდობენ ლოგიკურად და მათ შორის მეც. მეტსაც გეტყვით. ვარაუდობენ, რომ შემსრულებლები რამდენიმე თვის მანძილზე მოამზადეს რუსეთის ტერიტორიაზე, ხოლო თავდასხმის ხელმოცარვის შემდეგ ეს ჯგუფი რუსებმა თვითვე „ჩაუშვეს" კულიკოვის პირით, ანუ ჩვენებს მონაწილეთა ბინები და გვარები გადასცეს. პარალელურად გააკეთეს გაეროს მეთვალყურეების აყვანის ორგანიზაცია საქართველოდან რაც შეიძლება მეტი დასავლელის გაფრთხობის მიზნით და – რაც არანაკლებ არსებითია – დასავლეთის რეგიონში კიდევ ერთხელ საქმის არევის და ურთიერთსიძულვილის ჩამოგდების მიზნით. აგრეთვე საქართველოში არსებული არასტაბილობის ილუსტრაციის მიზნით. ეს ვარაუდი, ვიმეორებ, ლოგიკურია, მაგრამ ამავე დროს არსებობს ფაქტებიც, უშუალო და ხელშესახები ფაქტები, რომლებიც ურთიერთდაკავშირებას და ახსნას ეჭვი და გახმაურდა ეჭვი, სათანადო არგუმენტების მოშველიებით, რომ ეს რუსეთის სპეცსამსახურთა ნახელავია. დააკავეს რამდენიმე კაცი. და ამ დროს – ჯერ კიდევ გამოძიების ჩატარებამდე – საქართველოს პრეზიდენტი რუსული ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში უკვე პოლიტიკურ შეფასებას აძლევს მომხდარს და დანაშაულის ჩამდენად აცხადებს საქართველოს ერთ-ერთ შინაგან ძალას – „ზვიადისტებს". როგორც უკვე ვთქვი, ეს ნიშნავს არც მეტს, არც ნაკლებს ვიდრე ინდულგენციის ანუ წინასწარი პატიების მიცემას უცხო სპეცსამსახურებისათვის – და პირველ ყოვლისა, ცხადია, რუსეთისათვის, რომელსაც საქართველოში სამხედრო ბაზები და მაშასადამე, თავისი სპეცსამსახურებისათვის ყველაზე კარგი „სახურავი" აქვს, რომ ამგვარი ხელყოფები მომავალშიც მოახდინოს. ამით პრეზიდენტი რუსებსეუბნება: „რამდენიც გნებავთ, გვესროლეთ. რამდენიც გნებავთ, გვხოცეთ, თქვენზე ეჭვს არავინ მიიტანს. ჩვენ გვყავს შინაგანი კანდიდატები მათთვის ასეთი ქმედებების მისაწერად, ასე რომ თქვენ ყოველთვის ეჭვის გარეთ იქნებით". შევარდნაძის ინტერვიუ რუსულ ენაზე, სადაც იგი ტერაქტის მომწყობ ძალად „ზვიადისტებს" ასახელებს, ჭორი კი არაა, არამედ ფაქტია. ეს ინტერვიუ არსებობს. ამგვარად, დასკვნაც, რომელიც მოგახსენეთ, ფაქტს ემყარება: შევარდნაძე ამ ინტერვიუთი ხელს უხსნის რუსეთს, მაშასადამე მასზე თავისი ობიექტური ბმულობის

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## ახალი ამბები

### აღმოჩენილია სამხედრო-საწვრთნელი ბაზა

როგორც „იფრინდა“-სათვის სამართალდამცავ ორგანოებში ინფორმირებული წყაროდან გახდა ცნობილი, რომელმაც არ ისურვა ვინაობის გამხელა, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია სამხედრო ბაზა, სადაც მომზადება 40-მდე ტერორისტს შეეძლო გაევლო. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწვრილებითი ფაქტები დგინდება. (იფრინდა)

### „შეწყდეს საქართველოში ფაშიზმი“

როგორც „იფრინდა“-სათვის გახდა ცნობილი, პარლამენტის ექს-სპიკერი, ამჟამინდელი პარლამენტის დეპუტატი ვახტანგ გოგუაძე ნებაყოფლობით აპირებს ციხეში ჩაჯდომას.

ამასთან დაკავშირებით, „იფრინდა“ ესაუბრა ვ.გოგუაძეს, რომელმაც დაადასტურა აღნიშნული ინფორმაცია და განაცხადა, რომ მისი ეს ნაბიჯი პროტესტია იმ „ფაშისტური დიქტატური“-ს და „ბოლშევიზმის ცუდი მხარის გამოვლენის“ მიმართ, რომელიც მმართველი პარტიის აგრესიულმა ნაწილმა დაამყარა. მისივე თქმით, ამ ნაწილს ხელთ უპყრია დიდძალი თანხა, მათ შორის უცხოური კაპიტალი. ვ.გოგუაძის შეფასებით, საქართველო ანტიევროპული გზით მიდის. მისივე განცხადებით, მმართველი პარტიის ამ ნაწილმა საქართველო გაყიდა ეროვნულად, მორალურად, ეკონომიკურად და ცდილობენ ქვეყნის სხვისთვის უქართველებოდ გადაბარებას. „ეს პატარა ბიჭები მე მასწავლიან პატრიოტიზმს. ამას კი, ნამდვილად ვერ ავიტან“ – დასძინა ვ.გოგუაძემ.

9 თებერვლის ტერაქტთან და მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, ვ.გოგუაძემ განაცხადა, რომ მისი აზრით, ტერაქტები დაიწყო, მაგრამ ჯერ არ დამთავრებულა. მოქალაქეთა კავშირის ბრალდებები კი, მის მიმართ, კვლავაც გაგრძელდება.

ექს-სპიკერის ღრმა რწმენით, მისი ამგვარი ნაბიჯი ხალხს მიახვედრებს, თუ რაშია საქმე დეპუტატის აზრით, ის რაც საქართველოში ხდება, არის ქვეყნისათვის ავანტიურა და პროვოკაცია და მისი ერთადერთი მოთხოვნაა – „შეწყდეს საქართველოში ფაშიზმი“.

ვ.გოგუაძემ „იფრინდა“-სთან საუბარში აღნიშნა, რომ იგი დღეს არ აპირებს ციხეში წასვლას, მას დაგეგმილი აქვს 24 თებერვალს მიმართოს პრეზიდენტის თანაშემწეს ეროვნული უშიშროების საკითხებში ნუგზარ საჯაიას, რათა ამ გადაწყვეტილების შესახებ ნ.საჯაიამ პრეზიდენტს აცნობოს. (იფრინდა)

# თავდასხმა პრეზიდენტზე!

## ინტერვიუ ნოდარ ნათაძესთან

მესამე გვერდიდან

ხარისხს ზრდის.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ერთი ნაწყვეტიც – მისი ორშაბათის ინტერვიუსი 16 თებერვალს. პატარა ნაწყვეტს მოვიყვანთ:

„სულ ახლახან გამოვედით სრული ქაოსისა და ნგრევის ფაზიდან და უმალვე დავადექით გზას, რომელიც, სამწუხაროდ და სავალალოდ, მიუღებელი გზაა ქართული საზოგადოების ძველი (ასე ვთქვათ) კომპლექსებით დაავადებული საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილისათვის. რა თქმა უნდა, იგი არ არის უმრავლესობა, შეიძლება იყოს 5–10 პროცენტის ფარგლებში, მაგრამ ეს ფენა განსაკუთრებით აგრესიულია, განსაკუთრებით აქტიურია, დაუნდობელია, განსაკუთრებით შეურიგებელია, ფანატიკური სიძულვილით არის შეპყრობილი და მასთან, როგორც იტყვიან, არაფერი ჭრის – არც მიტევება, არც პატიება, არც ამნისტია, არც შერიგებისათვის მოწოდება“.

რა გამოდის? ჯერ ლაპარაკია იმათზე ვინც გუშინდელ დღეს ეკუთვნის, და ბუნებრივია, რომ ჩვენი თვალი მიიმართება კომუნისტებისაკენ, როგორც პანტ.გიორგაძეა, რეაქციისაკენ („მემარცხენეებისაკენ“), რომელსაც „ხალხთა საპყრობილედ“ წოდებული საბჭოთა კავშირის ან რუსული იმპერიის რომელიმე სხვა ფორმის აღდგენა ჰსურს. მაგრამ შემდეგ უცებ ირკვევა, რომ პრეზიდენტს მხედველობაში ჰყავს სხვა „რადიკალები“ – ექსპრეზიდენტ ზ.გამსახურდიას ანუ საქართველოს მართლაც უხინჯად ლეგიტიმური ხელისუფლების ძველი მომხრენი, რომელთაც – ღმერთია მოწამე – არასოდეს გუშინდელი დღისკენ არ სჭერიათ თვალი, თუ გუშინდელ დღედ არ ჩავთვლით თამარის ხანას, როცა საქართველო ყვაოდა და „ვეფხისტყაოსანს“ თხზავდა. კითხვა იბადება: ბნელა მართლა ამ ნათელ ქვეყანაზე? (მაპატიეთ სტილი!). არა, არ ბნელა და არც დაბნელდება იმდენად, რომ სერიოზულ პოლიტიკაში ასეთი მარტივი ხრიკი, როგორც მოყვანილ ციტატში მოცემული „გადასვლაა“, გასაჩლიანი გახდეს. დღეს ყველამ იცის, რომ დამოუკიდებელ საქართველოს „რადიკალი“ მხოლოდ იმ შემთხვევაში მოუწყობს ტერაქტს, თუ იგი კომუნისტია, მაგრამ არა იმ შემთხვევაში, თუ იგი „ზვიადისტია“, ანუ იმ პოლიტიკური პლატფორმის წარმომადგენელია, რომელიც თავს ზ.გამსახურდიას გეზის გამგრძელებლად თვლის, რადგან „ზვიადისტი“ სსრკ აღდგენას კი არა, პირიქით, საქართველოს დამოუკიდებლობას ესწრაფვის. აქ არის სწორედ ტყუილი იმ პოზიციაში, რომელიც ძიების სატელევიზიო-საინფორმაციო გაშუქებას და პრეზიდენტს, როგორც ინტერვიუს რესპონდენტს, უჭირავთ. ექსპრეზიდენტის მომხრე 1991–93 წლების რაზმის ყოფილი ჯარისკაცი, ანუ ამ რაზმის ნამსხვრევი, ერთის მხრივ, და ექსპრეზიდენტის პოლიტიკური მემკვიდრენი, როგორც პოლიტიკური ძალა, მეორეს მხრივ, სრულებითაც არ არის ერთი და იგივე. სამოქალაქო ომის შემდეგ – თუკი ერი იმდენად უგნური და თავისათვის მტერი აღმოჩნდა, რომ ეს ომი დაუშვა – ყველა მიმართულების რაზმთა ნამსხვრევები რჩება – „ზვიადისტებისაც“, გვარდიელებისაც, „მხედრიონელებისაც“, „საძმოებისაც“ და ა.შ. – და ეს დაუცველი ადამიანები იმ მასალად იქცევიან, რომელიც ყველაზე ადვილად მოსანადირებელია უცხო სპეცსამსახურებისათვის, რომელთაც მათს განწირულ მდგომარეობაზე და მათს გრძნობებზე თამაში ჰსურთ. ის, რომ დღეს დაპატიმრებული „ტერორისტები“ იმ რაზმებში იყვნენ, სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ისინი ამ მიმართულებასთან დღესაც არიან, და, მით უმეტეს, არ ნიშნავს იმას, რომ ამ მიმართულებას უცხო სპეცსამსახურებისათვის ტერაქტების მოწყობაში დახმარება განუზრახავს. თუ ეს საქართველოს ტელევიზიას და „ტერორისტი“ „ზვიადისტების“ გარშემო ამ დღეების მანძილზე ატეხილი პანიკის სხვა მაღალ ორგანიზატორებს ესმით, მაშინ რატომაა, რომ ამ თემაზე ლაპარაკის კონტექსტში მაყურებელს ქალბატონ მანანა არჩვაძეს უჩვენებენ? ხოლო თუ არ ესმით, მაშინ რა უფლება აქვთ პოლიტიკურ თემებზე იმსჯელონ?

*– ე.ი. თქვენ ფიქრობთ, რომ შემსრულებელნი ყოფილი ზვიადისტები არიან, დამკვეთნი კი – რუსები?*

– მე ამას ვუშვებ, თუკი მასალამ მიჩვენა. ის, რომ ისინი კანონიერი ხელისუფლების აღდგენას აყენებენ მოთხოვნად, როგორც ამას ტელევიზია გვაუწყებს, ან საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების საქართველოდან გატანას ითხოვენ, შესაძლოა უბრალო კამუფლაჟიც იყოს რუსების კვალის დაფარვის მიზნით.

***– თქვენ არ ამბობთ, მაგრამ თქვენი მსჯელობიდან გამოდის, რომ ამ პროცესთა მმართველნი თქვენ სრულებით ამორალურ, ქვეყნის ბედზე პასუხისმგებლობის არმქონე ადამიანებად მიგაჩნიათ. ასე ფიქრობთ მართლა?***

– მე ვერ ვხედავ საფუძველს, რომ მოვლენათა ახსნის საქმეში მათ მმართველთა მაინცდამაინც მაღალი მორალის ფაქტორი ჩავრთო. თქვენ უთუოდ მოგეხსენებათ, რომ დღევანდელი სამართალდამცავი ორგანოები თავისი ორგანიზაციითაც და პირადი შემადგენლობითაც საბჭოთა დროის მემკვიდრენი არიან, როცა მილიციის ყველა ოფიცერს მაინც „ჩეკისტი“ ეწოდებოდა. ისიც იცით, რომ პატიმრების წამება საქართველოს საძიებო ორგანოებში მხოლოდ 14 თვის მანძილზე თუ იყო შეწყვეტილი – ისიც კითხვის ნიშნის ქვეშ – ეროვნული ხელისუფლების დროს. ამგვარად, პატიმართა იმ „ჩვენებებს“, რომლებიც ხელისუფლების კურსს ეთანადება, როგორც იტყვიან, ინფორმაციული ღირებულება არა აქვთ. ამ ჩვენებებს მათ ყველა შემთხვევაში გამოსძალავენ, თუნდ მართალი იყოს და თუნდ ტყუილი. ეს ერთი გარემოება. მეორეც, ალბათ იცით, რა დიდი რეზონანსი გამოიწვია მსოფლიოში 1936 წელს ესპანეთში ფრანკისტების მიერ პატარა ქალაქ გერნიკას საავიაციო დაბომბვამ, რაც ამგვარი მხეცობის პირველი შემთხვევა იყო ქვეყნად. მაშინ ერთმა ინგლისელმა ჟურნალისტმა ეჭვი გამოთქვა, ეს თვით კომუნისტების გაკეთებულიაო, და იგი კინაღამ ჩაქოლეს. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ის ჟურნალისტი მართალი იყო. მაშინდელი კომუნისტების ლიდერი სტალინი იყო და ისინი ბევრად უფრო სოლიდურ „ფირმას“ წარმოადგენდნენ, ვიდრე ის, რაც ცეკა-ტეკა-ალეკეკასა. და რაიკომ-ალმასკომების ძველი კადრია, რომელიც დღეს საქართველოს მართავს. ჩვენ არ გვაქვს უფლება, რაც უნდა შთამბეჭდავი იყოს ადამიანურად ესა თუ ის დანაშაული, ბრმად ვენდოთ ამ ადამიანებს მის ინტერპრეტაციაში იმის გამო, რომ ისინი რაღაცას „არ იკადრებენ“, რაღაცას „მოერიდებიან“, ვიღაცას (თუნდ თავის თავთან ახლოს მდგომ ადამიანს) „არ გაიმეტებენ“ და ა.შ. მე მინდა გკითხოთ, როგორ ფიქრობთ, დღეს აყვანილ თავდამსხმელებს ძიება დაუსვამს კითხვას, შეკვეთა რუსეთიდან ხომ არ მიგიღიათო?

***– თქვენი აზრი გასაგებია. როგორ გესახებათ ამ თავდასხმის პოლიტიკური აზრი და ჩანაფიქრი? რატომ არ მოხდა იგი გუშინწინ, ან მანამდე, ან ზეგ?***

– მე ამ თავდასხმას ვიხილავ შემდეგი ფაქტების კონტექსტში. პირველი. სომხეთის პრეზიდენტის გადადგომა. მეორე. ელცინის განცხადება, ერაყის ომმა შეიძლება მსოფლიო ომი შვასო. მესამე რუსეთის მზადება ჩრდილო კავკასიის ომისათვის და დიდი შეტევისათვის აზერბაიჯანსა და საქართველოზე, რისთვისაც მას ჩრდილო კავკასიასა და ვოლგოგრადის ოლქში სამი არმია ჰყავს დისლოცირებული. (ეს ჩეჩნებმაც იციან). ამ ფაქტთა კონტექსტში მე შევარდნაძეზე თავდასხმა ასე მესმის. შევარდნაძის პოზიცია ნავთობსადენის საკითხში და დერეფნის საკითხში ცალსახად პრორუსული არ არის. იგი არც ცალსახად არარუსულია [illegible] რუსეთისადმი დაპირისპირებული. იგი მიჰყვება დასავლეთის გეზს, რომელიც – ხაზს ვუსვამ ამას მუდამ – თვით რუსეთისთვისაც იმპერატიულია. ეს გეზი მოითხოვს დერეფნის გახსნას და შევარდნაძე მას, ძირითადად, ემხრობა. ეს – საერთოდ. ამჯერად კი რუსეთს მისი „დემოკრატიული“ ხელისუფლების სახით, მისი „ბნელი“ ძალების სახით თუ მენავთობეთა სახით, როგორც იტყვიან, „სულმა წასძლია“ და ისეთი უშუალო დღევანდელი ინტერესის გამო, როგორიცაა ნავთობსადენიდან დიდი ლუკმის მოტეხა, გაამეტებინა თავისი ერთგული მეგობარი შევარდნაძე, რომელიც რუსეთის სამომავლო გეგმას ემსახურება – გეგმას, რომლის თანახმადაც 2–3 თაობის მანძილზე უნდა დაიწყოს რუსეთის მცოცავი იმპერიალიზმის ახალი ნელი შემოტევა სამხრეთისაკენ – იმის წყალობით, რომ ყოვლისშემძლე დასავლეთის პირველხარისხოვანი გეოეკონომიკური და სტრატეგიული ინტერესი სხვა რეგიონებისკენ გადაინაცვლებს. შევარდნაძის ეს სამომავლო სამსახური იმპერიისადმი იმაში მდგომარეობს, რომ იგი მას უქმნის ბაზებს კავკასიონის ქედის სამხრეთით „ოსეთის“ სახით, ანგრევს ქართულ ეროვნულ ცნობიერებას, ეკონომიკას და ქვეყნის ადმინისტრაციულ სტრუქტურას, რათა საქართველო პოლიტიკის სუბიექტად ვერ ჩამოყალიბდეს, ჩუმ-ჩუმად „აპრივატებს“ შენიღბულ რუსულ ფირმებზე საქართველოს უძრავ ქონებას და ა.შ. და ა.შ. 9 თებერვლის აქტი იმის მაჩვენებელია, რომ რუსეთის შესაბამისმა ძალებმა ეს ზეგინდელი მსუქანი ქათამი დღევანდელი კვერცხისათვის დათმეს – მით უმეტეს, რომ მარცხის შემთხვევაში არაფერს კარგავენ, არაფერს, სხვა თუ არაფერი, ერთიანი და სამუდამოდ მოკაკული უცხო პრეზიდენტის კიდევ უფრო მეტად დაშინების ეფექტს მაინც აღწევენ.

ამ მოვლენათა უფრო ფართო კონტექსტს კი – მათ, ასე ვთქვათ, გლობალურ კონტექსტს – ასე ვხედავ. თუმცა რუსეთის ძირითადი სტრატეგიული ხაზი, როგორც მსოფლიო ძალად ყოფნისა და დარჩენის პრეტენდენტისა, დამყარებულია მომავალზე სახელდობრ, იმ დროზე, როცა დასავლეთის პირველხარისხოვანი გეოეკონომიკური ინტერესი გადაინაცვლებს კავკასია-შუა აზიის ზონიდან, რის შემდეგაც რუსეთის მცოცავი იმპერიალიზმი კვლავ წაეტანება ამ რეგიონებს, იგი მაინც წინააღმდეგი არაა, ბედი სცადოს ხოლმე (რადგან ამით არაფერს კარგავს) და ხსენებულ ზონაში თავისი პოზიციები აღადგინოს ან დაუკარგავად დაიტოვოს. თუ აშშ, როგორც იტყვიან, „ჩაეფლობა“ ერაყთან სახმელეთო ომში, რუსეთი ამ ტაიმაუტს გამოიყენებს აზერბაიჯანსა და საქართველოზე შეტევისათვის (ომის გამოცხადებით ან „ჩუმად“) იმ საბაბით, რომ მაქსიმალურად მიუახლოვდეს „ომის თეატრს“, რომელიც ბათუმიდან სულ რაღაც 800 კმ მანძილითაა დაშორებული. ამით გადაიკეტება „დერეფანიც“, ნავთობსადენიც და წინა აზიაში დასავლეთის შემოსვლის სხვა პროცესებიც. ამისთვისაა საჭირო საქართველოში ქაოსიც (პირველ ყოვლისა!), სომხეთის მეტ-ნაკლებ პროდასავლური ხელისუფლების შეცვლაც, საქართველოდან დასავლელების გაფრთხობაც (გაეროს მეთვალყურეთა აყვანით) და ერაყის ომისადმი ცოტა არ იყოს გაზვიადებული ინტერესის სიმულაციაც.

ესაუბრა **სერგო ჯანაშია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვილაპარაკოთ პირდაპირ!

აღსანიშნავია, რომ არ არსებობს გამოცდილება ელექტროსადგურის კვლავ ამოქმედებისა ხანგრძლივი გაჩერების შემდეგ. ფაქტები ასეთია: 1993 წლიდან ატომური ელექტროსადგური რამდენჯერმე გააჩერეს ტექნიკური უწესრიგობის მიზეზით. ბოლოს იგი 1 ივლისს გააჩერეს. ამ ხნის მანძილზე იყო არაოფიციალური ცნობები სომხეთის ატომური ელექტროსადგურიდან რადიონუკლიდების არაერთხელ გაჟონვის შესახებ.

არანაკლებ საგანგაშოა სხვა გარემოებაც. 90-იანი წლების სეისმური დარაიონების მიხედვით, სომხეთის ტერიტორია არის ძირითადად 8 ბალიანი; არის წერტილები, სადაც სეისმურობა 10 ბალია. სეისმომედეგი მშენებლობის ნორმებისა და წესდების მიხედვით, რომელიც ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ნორმებითაც იგივეა, ატომური ელექტროსადგურების აშენება სეისმურად ასეთი მაღალი აქტივობის ზონებში დაუშვებელია.

გვაქვს ცნობები იმის შესახებ, რომ სომხეთში აშენდება ახალი ატომური ელექტროსადგური რუსეთის დახმარებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, იძულებულნი ვართ კონსტანტაცია მოვახდინოთ იმისა, რომ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო, მხარს უჭერს რა სომხეთში ატომური ელექტროსადგურის მოქმედებას, ამით უგულებელყოფს თავისსავე წესდებას და გაეროს 1980 წლის რეზოლუციას „სახელმწიფოთა ეკოლოგიური პასუხისმგებლობის შესახებ დედამიწის ბუნების შენარჩუნებისათვის ამჟამინდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის".

ისმის კითხვა - რა მიზანი უნდა ჰქონდეს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს სომხეთში ატომურ ელექტროსადგურებთან დაკავშირებით?

ვეთანხმებით მოსაზრებას, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ წრეებშია მიღებული. დავიმოწმებთ მის ერთ-ერთ ფორმულირებას პრესიდან: „ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს პოზიცია უშუალოდ პოლიტიკურ საკითხებთანაა გადაჯაჭვული. რუსეთს და აშშ სერიოზული პრობლემები აქვთ ირანში ატომური შეიარაღების განთავსებასთან დაკავშირებით. რუსეთი ირანში ატომური ელექტროსადგურის აშენებას ამერიკის დაწოლის გამო ვერ ახერხებს. თუ გავითვალისწინებთ კავკასიაში უცხო ქვეყნების სტრატეგიულ ინტერესებს, რეგიონის გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, ნათელია, რატომ აირჩია რუსეთმა სომხეთი ატომური ელექტროსადგურების ხეივნად. არსებობს ოფიციალური ინფორმაცია, რომ სომხეთის ატომური ელექტროსადგური რუსეთის საცდელ პოლიგონს წარმოადგენს. ალბათ, ამის გამო ეხმარება ის სომხეთს ახალი ატომური ელექტროსადგურის აშენებაშიც. 1000 მეგავატიან ატომურ ელექტროსადგურს დაახლოებით 40 ტ რადიოაქტიური ნარჩენი აქვს, რომლისგანაც 40 ატომური ბომბის დამზადება შეიძლება".

ბირთვული ენერგიის მშვიდობიანი და სამხედრო გამოყენების ტექნოლოგიები ხომ ძალზე ახლოსაა ერთმანეთთან! ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოც სწორედ იმიტომ შეიქმნა, რომ კონტროლი გაუწიოს, ვინმემ ბოროტად არ გამოიყენოს ბირთვული ენერგიის რეაქტორები.

გთხოვთ გაეროს განიარაღების კომიტეტს, დაინტერესდეს ჩვენ მიერ აღძრული საკითხით, მით უფრო, რომ ჩვენთვის კარგად ცნობილია, რომ სომხეთის ატომური ელექტროსადგურის მომარაგება გახლეჩადი მასალებით უნდა მოხდეს რუსეთის მიერ და საქართველოს გზათა გავლით.

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის სახელით

ნ.ნათაძე

## ახალი ამბები

### „ინფორმაცია სკოლის დანაღმვის შესახებ პროვოკაციაა"

„იფრინდა"-ს მონაცემებით, გრძელდება ზუგდიდში №1 საშუალო სკოლის შემოწმება. როგორც ვიუწყებოდით შემოწმება გამოიწვია წერილმა, რომელშიც სკოლის დანაღმვის შესახებ იყო საუბარი.

სამუშაოებს ასრულებენ საქართველოს უშიშროების სამინისტროსა და აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ძალების მესანგრეები.

ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ სკოლაში ნაღმები არ აღმოჩნდება. მსგავსი ინფორმაცია კი, რეგიონში დესტაბილიზაციის და პანიკის გამოწვევას ისახავს მიზნად. გამორიცხული არაა, რომ მსგავსი სახის პროვოკაცია კვლავ განმეორდება. ამჟამად, მიმდინარეობს მუშაობა წერილის ავტორთა გამოსავლენად.

სამართალდამცავი ორგანოები თვლიან, რომ ამ შენობის შერჩევა შემთხვევითი არ არის, რადგან №1 სკოლა აკაკი წერეთლის სახელს ატარებს და ზუგდიდელთა ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი სკოლაა. (იფრინდა)

### ელენე თევდორაძე თვალს ადევნებს

„9 თებერვალს მომხდარ ტერაქტთან დაკავშირებით ეჭვმიტანილთა დაკავება და დაპატიმრება პროცესუალური ნორმების დარღვევის გარეშე ჩატარდა" - აღნიშნა გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას პარლამენტის პენიტენციალური რეფორმებისა და პატიმართა უფლებების დაცვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ, ელენე თევდორაძემ.

მისი ინფორმაციით, დაკავების სანქცია მოსამართლემ იმავე დღეს გასცა. ეჭვმიტანილებს სამი ადვოკატი ჰყავთ, რომელთა თანდასწრებითაც მიმდინარეობს მათი დაკითხვა. დაკითხვის პროცესი ვიდეოკასეტაზე იწერება.

„თუ ეჭვმიტანილებს თითით მაინც შეეხებოდნენ, ან შეეცდებოდნენ მათზე რაიმე ზემოქმედებას, მე მაშინვე მომმართავდნენ დაკავებულთა ახლო ნათესავები" - აღნიშნა თევდორაძემ და დაამატა, რომ იგი დაუბრკოლებლად შეხვდებოდა დაკავებულებს, თუ მასთან რაიმე სიგნალი მივიდოდა მათ მიმართ დარღვევების შესახებ.

საქართველოს გზებზე რეიდების გაძლიერებას თევდორაძე მართებულად მიიჩნევს, რადგან, მისი თქმით, სამართალდამცავ ორგანოებს გააჩნიათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ ჭველაფერი არ დასრულებულა. (გეა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კულტურა**

# ჭეშმარიტი მხატვარი უნდა მოიცავდეს ყველა შრეს წარსულიდან დღემდე...



*შტრიხები პორტრეტისათვის: არ უყვარს უსაქმოდ ჯდომა, არის აქტიური, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ აქვს ხელისშემშლელი პირობები. იგი არ ცდილობს მოირგოს გარემო, არამედ თვითონ ეწყობა მას. არავისთვის ცუდი არ უნდა, არის მოსიყვარულე. უყვარს ახალგაზრდებთან ურთიერთობა. კონტაქტაბელურია.*

*მე ვთავაზობ საზოგადოებას იყოს თანაზიარი იმ თავისუფალი შემოქმედებითი პროცესებისა, რომელიც მარადიულ პრობლემებთან შეხებისას ჩემში იბადება*

## ექსკლუზიური ინტერვიუ ბატონ გია ბუღაძესთან

**– ბატონო გია, რა ხდება ქართულ მხატვრობაში? რა ვითარდება? რა იკარგება?**

– დიდი ძვრებია ქართულ მხატვრობაში. ძველი ტრადიციული წარმოდგენები მხატვრის დანიშნულებაზე შეიცვალა. თანამედროვე ცხოვრებაში მხატვარს პატრონი არ ჰყავს. მხატვართა კავშირი თითქოს ცდილობს, რაღაც გააკეთოს. შეძლებისდაგვარად თითქოს აკეთებს კიდეც, ცდილობს დაიბრუნოს დაკარგული უფლებები, მხატვარს შეძინოს სოციალური სიმყარე, სოციალური სტატუსი, იბრძვის დაკარგული მხატვრის სახლის დაბრუნებისთვის, მაგრამ ეს ყოველივე ძალზე რთულდება, რადგან მას არ ჰყოფნის ბოლომდე შესაძლებლობები. საერთოდ კი ხელოვნება არ შეიძლება სახელმწიფოს მხრიდან დაცვის გარეშე იყოს. არ შეიძლება ხელოვნება ის დონეზე ვითარდებოდეს და უკავშირდებოდეს მხოლოდ ეგრეთ წოდებულ „ქუჩურ ესთეტიკას“.

საქართველოში დღეს ფეხს იდგამს თავისუფალი საგალერეო ცხოვრება. რამდენიმე უკვე შეიქმნა კიდეც. ზოგს ზურგს უმაგრებს კომერციული სტრუქტურა, უმეტესობა კი რისკზე მიდის იმდენად, რამდენადაც დამოუკიდებელია. ამავე დროს, არსებობს სხვა ფორმებიც მხატვართა ორგანოებისა, ე.წ. მაშუალებელი ორგანიზაციები. მაგალითად, თავისუფალ მხატვართა ასოციაცია „ვარჯი“, „პროფესიონალთა ლიგა“ და ა.შ. რომლებიც ცდილობენ კავშირები მოძებნონ მხატვარსა და საზოგადოებას შორის, ხელოვანსა და კომერციულ სტრუქტურას შორის.

საერთოდ, ხელოვნების სოციალური კვლევის საკითხში სწორი ორიენტაციის აღებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. იმიტომ, რომ ხელოვნებამ ღირებულება უნდა შეინარჩუნოს. დღეს მხატვრობაში ფორმალური, მკვეთრად დადგენილი კრიტერიუმები აღარ არსებობს. ფორმის პლურალიზმის პერიოდია და რაიმე ფორმის დოგმატურობაზე აღარ არის უკვე საუბარი... ყოველი მხატვარი ცალკე დასია და შეუძლებელია მასში უხეში ჩარევა, რადგანაც მხატვარი არის თავისი თავის რეჟისორიც, სცენარის ავტორიც, შემსრულებელიც...

ხელოვნება საზოგადოებაში მიმდინარე ძვრების სისტემებს გაცილებით ადრე გამოაშკარავებს, ვიდრე ეს რეალობაში ხდება ვფიქრობ, რომ დღესდღეობით უნდა მოხდეს სწორი კოოპერირება კომერციულ სტრუქტურებთან. თუკი კომუნიზმის პერიოდში სოციალური შეკვეთის პრინციპი იყო, დღეს უკვე კონკრეტულ ადრესატზე, კონკრეტულ ინტერესზე არის ლაპარაკი. ამის გაღვივებას კი უნდა ემსახურებოდეს ის მაშუალებელი ორგანიზაციები, რომლებზეც ზემოთ მოგახსენეთ.

**საერთოდ, ცნობილი ფაქტია, რომ თანამედროვე ქართულ ფერწერაზე დიდ გავლენას ახდენს მე–20 საუკუნის ევროპული მიმდინარეობები. თქვენს ყურადღებას რომელი მიმდინარეობა იქცევს?**

– ქართული მხატვრობა არასდროს იყო მოწყვეტილი ევროპას. ევროპა – ცენტრული მოვლენები ყოველთვის დადებითად ისახებოდა ქართულ ხელოვნებაში. ქართული ხელოვნება ერთგვარად ხიდის როლს თამაშობდა დასავლურ და აღმოსავლურ სახვით ხელოვნებას შორის, მაგრამ ძირითადად მაინც ქართული მხატვრობა ეხება იმ ტენდენციებს, რომელიც აკავშირებდა მას ევროპულთან, დასავლურთან. თანამედროვე ხელოვნება უკვე ზოგადინტერნაციონალურია. ხდება ეგრეთ წოდებული მეორადი ხელოვნების, პარორგანული ხელოვნების შესწავლა. ამ კულტურების გამოკვლევით შეისწავლება ზოგადსაკაცობრიო კულტურა. ამიტომ ჩემი გამოყოფა ამ პროცესიდან ძნელია. თუმცა ვცდილობ ვაკეთო ქართული, მაგრამ გაჯერებული ევროპულით. ადრე ქართულ ფერწერაში ჭარბობდა ზოგადად ფრანკოფილური, კონკრეტულად იმპრესიონისტულ, ფოვისტურ, ტაშისტურ მიმართულებათა გავლენა. მე კი შემოვიტანე გერმანოფილური მისწრაფებები, რაც ამოდიოდა შლეგელის, ფიჰტეს, შელინგის ფილოსოფიიდან, რიჰარდ ვაგნერის, რიჰარდ შტრაუსის, გუსტავ მალერის მუსიკიდან. ესენი მაძლევდნენ იმის საფუძველს, რომ გამეანალიზებინა ის, რაც საქართველოში ხდებოდა. მეუხერხულება კია ამის თქმა, მაგრამ მე მინდოდა ქართველი ხალხისთვის ის, რაც ვაგნერმა გაუკეთა გერმანელ ხალხს. მან ხომ აუღერა გერმანელებს ისტორია... მე მინდოდა ქართველი ხალხისთვის საქართველოს ისტორიაზე სიმფონიები ფერში შემექმნა.




**– თქვენ ხართ საკუთარი კონცეპტუალური აზროვნებისა და თხზვის ინდივიდუალური სტილის მქონე მხატვარი. რას იტყვით თქვენს მხატვრობაზე? როგორია თქვენი მუშაობის პრინციპი?**

– ჩემი მხატვრობა არ არის რაიმეზე დამოკიდებული, გარდა დაუსრულებელი თვითკვლევისა და თვითშემეცნებისა, სწორედ ეს თვითშემეცნებითი მისწრაფება მაძლევს განსაკუთრებული სახის ინსპირაციას. ხოლო ინსპირაციის საფუძველს ძალზე კონკრეტულად შეიძლება იძლეოდეს, რაიმე მუსიკალური ფრაზა, ციტატა ტექსტიდან, ზოგადად საკაცობრიო კულტურული გამოცდილება და ა.შ. ეს ხელოვნება არის ჩემი პიროვნების თავისუფალი ემანაციის შედეგი. იგი არის ჩემში მიმდინარე პროცესების შინაგანი ძიების დაფიქსირების მცდელობა. მე აღვიქვამ ჩემს თავს ნეორომანტიკოსად, თუმცა მან თანდათანობით შეიძინა ნეოექსპრესიონიზმისა და კონცეპტუალიზმის ელემენტები. ჭეშმარიტი მხატვარი უნდა მოიცავდეს ყველა შრეს წარსულიდან დღემდე. ჩემი მცდელობები სწორედ აქეთკენაა მიმართული, ამით კი მე ვეხმიანები პოსტმოდერნისტული კულტურის იდეალებს...

ძალიან მიყვარს ხატვა. ჩემთვის ეს ტანჯვა არ არის. პირიქით, ხატვა ჩემთვის დიდი სიხარულია, ალბათ, იმიტომ, რომ ეს საქმე, ასე მგონია, ბავშვობიდან შეძლებისდაგვარად იოლად მეძლევა სხვა საქმიანობასთან შედარებით.

მე ამოვდივარ ნიცშედან და შპენგლერიდან და ვანსხვავებ ორი ტიპის მხატვარს: აპოლონურსა და დიონისურს. ასე მგონია, რომ მე ვარ აპოლონური ფაუსტური ორიენტაციის მხატვარი და ეს არის ამოსავალი წერტილი ჩემი ქმედებებისა. სპონტანურობა – არ არის ჩემი მაგისტრალური ხაზი. მე გამოვსახავ იდეას გრძნობად, ხილვად ფორმასა და სხეულში. იდეამ უნდა ჩაიცვას შესაბამისი სამოსი. მაგალითად, „ათცამეტ მამაზე“ ცხრა წელი ვმუშაობდი. ეს იყო გაუთავებელი მუშაობა და მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ სერია დაუსრულებელია. მიდიოდა და დღემდეც მიდის გაუთავებელი ბრძოლა საკუთარ თავთან, როგორ დაუკავშირდეს იდეა ფორმას. მე ვცდილობ, რომ ჩემი მხატვრობით ის სულიერი, რაც ჩემშია დავუკავშირო იმ სულიერს, რაც არის განფენილი სამყაროში.

„ათცამეტი მამის“ პარალელურად ვქმნიდი „აჰამ-კარას“, სადაც წამოვწიე სიკვდილის პრობლემა, რადგან სიკვდილი, როგორც მეტაფიზიკური მოვლენა, არის მარადიული პრობლემა. ეს იყო იმდენად კოლოსალური სამუშაო, რომ კინაღამ შევეწირე... ამას მოჰყვა „ანანკე-დაბადება“. ეს ორივე სერია („აჰამ-კარა“ და „ანანკე“) ამოდიოდა იმ ემოციური საფუძვლიდან, რომელზეც მე ზემოთ მოგახსენეთ.

მე ყოველთვის ვცდილობ, რომ ჩემმა ნამუშევრებმა დაამკვიდრონ მარადიული ფასეულობები და ამას ვანხორციელებ დაწყებული სერიებიდან „აპოლონური ტრაგედიები“ დამთავრებული „ანამორფოზებით“ ან თუნდაც იგივე „ანანკეთი“. ეს ყოველივე ორგანულად უკავშირდება ამ საკითხს.

ყოველთვის მინდოდა ადამიანის სულიერი განვითარების ისტორიის ფაქტებით გამომეკვლია იგივე ადამიანის შემოქმედებაში არსებული ყველაზე იდუმალი შრეები. მოკლედ რომ ვთქვა, მინდოდა ამ კავშირის საიდუმლო გამეხსნა და წარმომეჩინა.

მე ძირითადად ვმუშაობ კონკრეტულ იდეაზე და როცა არსებობს ინსპირაციის მომცემი იდეა, ვეძებ შესაბამის ფორმას. როგორც კი იდეა შესაბამის ფორმაში ჯდება, იმ წამსვე ვქმნი ნამუშევარს. ეს არის სწორედ აპოლონური მხატვრისთვის დამახასიათებელი. შეიძლება ითქვას, რომ ჩემი შემოქმედება შესაბამისობაშია ისეთი პროგრამისტი მუსიკოსების შემოქმედებასთან, როგორებიც არიან ბრუკნერი, რიჰარდ შტრაუსი, ბერლიოზი...

**– რა გეგმები გაქვთ მომავლისათვის?**

– რასაკვირველია, მომავლის გეგმები მაქვს. ჩემი შემოქმედებითი ცხოვრება მინდა დავუკავშირო იმ მოვლენებს, რაც საზოგადოებაში ხდება.

მინდა გავხსნა გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იქნება „ნუგეშისმცემელი – პარაკლეტოს“. უკვე ნახევარი წელია, რაც ეს სერია კეთდება და გაზაფხულზე შევძლებ მისი გარკვეული ნაწილით წარმოდგენას.

ამავე დროს მინდა დავასრულო „ანანკე“. ეს არის დიდი სიმფონია დაბადებაზე და მისი დასრულებისთვის დიდი მხარდაჭერა და თანხებია საჭირო.

არის ლაპარაკი დიდი პერფომანსის შექმნაზე, სადაც ვთანამშრომლობ მუსიკოს ზაზა მიმინოშვილთან ერთად. ვამზადებ სცენარს ჩემს შვილთან – ლაშა ბუღაძესთან ერთად. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის სწორი და შესაშურად კარგი თანამშრომლობა. თუმც აქაც კვლავ თანხის პრობლემა იჩენს თავს.

მე მინდა ხაზი გავუსვა ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს. მინდა შევინარჩუნო არაკომერციული მხატვრის სახე. სოციალურ შეკვეთაზე ორიენტირებული მხატვარი მხოლოდ შეკვეთაზე მუშაობს და იძულებულია დამკვეთის გემოვნება დააკმაყოფილოს. ამიტომ იგი მხოლოდ ობივატელის გემოვნებამდე დადის.

მე ვთავაზობ საზოგადოებას იყოს თანაზიარი იმ თავისუფალი შემოქმედებითი პროცესებისა, რომელიც მარადიულ პრობლემებთან შეხებისას ჩემში იბადება.

– დიდი მადლობა საუბრისთვის.

*ესაუბრა ხელოვნებათმცოდნე* **ნათია ბახტაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გარყვნილების ბუნაგი თუ ლეგალური ბიზნესი?!

**დღევანდელ საქართველოში ვერც „ბორდელების“ არსებობით გააკვირვებ ვინმეს და ვერც იმით, რომ გარყვნილების ბუნაგებში ბევრი არასრულწლოვანიც „მუშაობს“ და საკმაოდ სარფიანადაც. მაგრამ ყველაზე დიდი საკვირველება ისაა, რომ „გარყვნილი ანგელოზები“ ყველანაირ სქესობრივ კავშირზე დაგთანხმდებიან, ოღონდ, წინასწარი ანაზღაურებით. ზემოთ ნათქვამის დასადასტურებლად, გგონებ, ქვემოთ მოყვანილი არგუმენტიც საკმარისი იქნება.**

ვისაც თბილისის ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე ერთხელ მაინც გაგივლიათ, უეჭველად თვალში გეცემოდათ ის ათასი რჯულის ნაძირალები, რომლებიც ჩვენი სამართალდამცავების გვერდით არცთუ უხერხულად გრძნობენ თავს. ვინ გინდათ, ჩემო ბატონო, „კარმანშიკები“, „ბოზები“, „პედერასტები“, „ჰომოსექსუალისტები“ და სხვა. მოდით, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ, დაველოდოთ, ვის მოერგება კისერზე საიმედოდ ჩვენს მიერ ნასროლი „ლაზო“.

მეტრო „ვაგზლის მოედნი“-ს შესასვლელთან დავდექი და პირველი „მსხვერპლის“ მოლოდინში „ჩავსაფრდი“. ღმერთმანი, დიდი ხნის ლოდინი ნამდვილად არ დამჭირვებია. ჩემს შორიახლოს დადგა ერთი გულისამრევად ჩაცმული ქალბატონი, რომელსაც, როგორც ჟარგონზე იტყვიან, „ზედ ეწერა თუ თუ რა „ხელობისა იყო“. გადავწყვიტე მივსულიყავი და მეთხოვა მასალის მოპოვებაში დამხმარებოდა და სამაგიეროდ, ფინანსური წახალისება შემეთავაზებინა. მაგრამ ამაოდ. ვაი, რომ დამასწრეს. არ იკითხავთ, ვინ „დამლუპა?“

ჯარისკაცმა. დიახ, ჯარისკაცმა იღლიაში ხელი გაუყარა და ძველი ნაცნობებივით გაუყვნენ ერთად გზას.

ფეხდაფეხ გამოვუდექი „არაჩვეულებრივ წყვილს“, ისინი იქვე, ახლოს მდებარე სასტუმროს ფოიეში შევიდნენ (სასტუმროს შეგნებულად არ ვასახელებ, რადგან ჟურნალისტი ჭეშმარიტებას წარმოაჩენს, ხოლო გამოძიება სამართალდამცავების პრეროგატივაა) უკან გამოვბრუნდი და ისევ ე.წ. „ბირჟაზე“ დავდექი. ნახევარი საათის განმავლობაში დაახლოებით ოთხჯერ აღმოვჩნდი წინა სიტუაციის იდენტურ მდგომარეობაში. მეტის მოთმენა აღარ შემეძლო. გადავწყვიტე, სასტუმროს ადმინისტრაციასთან მივსულიყავი და რამენაირად ჭეშმარიტებისათვის ამეხადა ფარდა, მაგრამ ჩემმა წინასწარ დაუმუშავებელმა გეგმამ კრახი განიცადა.

ოთახში ერთი თმაშევერცხლილი მოხუცი შევარჩიე და გარეთ გავიხმე. მოხუცმა ჯერ მე შემხედა და მერე ჩემს „პაპკას“.

– ძია კაცო, ცოტა უხერხული შეკითხვა მაქვს... „ბორდელი“ თუ არის აქ სადმე?

მოხუცმა ეჭვიანად შემომხედა.

– არა, ადგილები კი გვაქვს, მაგრამ თქვენ რა გნებავთ, ვერ გავიგე?!

– მე ჟურნალისტი ვარ – ვთქვი სხვათა შორის და დავუმატე – იქნებ მითხრათ, ეს ხალხი სად მიდის?

ეს ვუთხარი და ხელით სასტუმროს ფოიეში შემოსულ მორიგ წყვილზე მივუთითე.

– წადი, შვილო, და მეორედ აღარ მოხვიდე. რა სისულელეებს როშავ, სად სასტუმრო და სად „ბორდელი?“

რაღა მექნა, ნირწამხდარი უკან გამოვბრუნდი და ისევ მეტროს მივაშურე. რადგან ნაცადი ხერხი არ გამომადგებოდა, მტკიცედ გადავწყვიტე „კლიენტის“ როლი მეთამაშა. რამდენიმე წუთში გამოჩნდა კიდეც ჩემი რესპოდენტი.

– მოდი აქ!

– რა გინდა.

– შენც კარგად იცი, რაც მინდა. რამდენია საჭირო?

– სამი ლარი, – მითხრა და სამი თითიც დამანახა თან.

– კარგი, მოსულა, ისე ცოტას ვერ დამიკლებ?

– რას ამბობ, ჩემი ფასი მე არ ვიცი? შენ ისეთები განახა, 30–40 ლარს რომ ითხოვენ, აღარ შემევაჭრებოდი.

– ვინაა ასეთი?

– 14–15 წლის გოგოებია, მაგრამ შენ ვერ ნახავ (ეტყობა, კლიენტის დაკარგვის შეეშინდა). ამ ქარაფშუტა ქალს აშკარად შევატყვე, კმაყოფილი დარჩა, ჩემნაირი „არიფი“ რომ გამოიჭირა და მისი სხეულის ღირებულების მაქსიმუმი დამსტყუა.

ფული ამოვიღე და მივეცი. ქალმა გამომართვა და სწრაფადვე მითხრა:

– დროა, საქმეს შევუდგეთ. შენნაირი ხუთასი მეყოლება ამ საღამოს.

– საით წავიდეთ?

– ან სასტუმროში, ან კიდევ ვაგონებში, უფრო ნაკლები დაგიჯდება.

მე და ჩემი „რჩეული“ ნელა გავუდექით გზას.

– ბევრნი დგებით აქ?

– გაწყვეტამდე არიან ეგ გასაწყვეტლები.

– კი მაგრამ, რას ერჩით?

– ეგენი რომ არ იყვნენ, კლიენტი ბევრი იქნებოდა და „სტავკებიც“ გაიზრდებოდა.

მართალი გითხრათ, გამიკვირდა. არ მეგონა, ამ სფეროზეც თუ მოქმედებდა საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და ვერც კონკურენციის არსებობაში დავრწმუნდებოდი, რომ არა საკუთარი თვალით ნანახი და საკუთარი ყურით მოსმენილი.

„დოლიას“ გთხოვთ ვინმე?

კი, ხანდახან პოლიციელები. თუ ახალი ხარ, სულს ამოგხდიან. ჩვენ (მისი დაქალებიც იგულისხმა) უკვე ძველები ვართ. არაფერს გვეუბნებიან.

რამ გაიძულა ასეთ გზას დასდგომოდი?

– შენ რა წიგნების ენაზე მელაპარაკები, ოჯახი მე არა მაქვს, ერთი შვილი მყავს და ჭამა არ უნდა?

სასტუმროს შესასვლელს მივუახლოვდით, თავში ხელი შემოვირტყი, საათს დავხედე, ვიცრუე, მეგობარს უნდა შევხვდე–მეთქი, ბოდიში მოვუხადე და უკან გამოვბრუნდი.

ქალი იდგა და გაკვირვებული მიყურებდა. ეტყობოდა, ან გიჟი ვეგონე, ან საერთოდ ვერ გაეცნობიერებინა, რა მინდოდა მისგან.

პატივცემულო მკითხველო! მინდა გითხრათ, რომ რამდენიმე ათეული წლის წინათ ანალოგიური მდგომარეობა იყო ჩიკაგოში. როდესაც მერმა დახურა ყველა საროსკიპო, მეპატრონეებმა არ დააყოვნეს და ელვისებურად დაგზავნეს ყველგან თავისი ნახევრადშიშველი ქალბატონები. შიშვლები ქუჩებში გამოდიოდნენ და ლუკმა–პურს თხოულობდნენ, ამის შემდეგ იძულებულნი გახდნენ კვლავ დაერთოთ ნება „საროსკიპოებისათვის“ „მწვანე შუქის“ ასანთებად. მართალია, ჩვენს მთავრობას არც საროსკიპოები დაუხურავს და არც შეუქმნია ლეგალურად, მაგრამ „მონდომებული“ კაცი მის არარსებობას ნამდვილად ვერ დაიჩივლებს. უფრო მეტიც, ფულიანი ქალბატონებისათვის თურმე მამაკაცების საროსკიპოებიც ყოფილა საქართველოში. მიუხედავად ამისა, მაინც მრავლად არიან ე.წ. „ქუჩის ბოზები“.

ჩვენი სამართალდამცავებისათვის, ალბათ, არც იმის შეხსენება იქნება ურიგო, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, გარყვნილების ბუნაგის შენახვა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორიდან შვიდ წლამდე.

შეიძლება, ეს ძალიან კარგადაც იციან კომპეტენტურმა პირებმა და იგი რეგულარული შემოსვლის წყაროდაც აქციეს. ან კიდევ, შეიძლება ეს არალეგალური საროსკიპოები ვინმე დიდი ჩინოვნიკის საკუთრებაც იყოს.

არსებობს მესამე ვერსიაც, არც კი იციან, რაც ძალიან უსუსურად გამოიყურება. თუგინდ ასეც იყოს, ერთს დავსძენთ „Ignoranta non est argumentum“.

კობა კაკაბაძე



## ახალი ამბები

### თავის დროზე იყო მისახედი – თვლის ფაცაცია

22 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე ფრაქცია „აფხაზეთის“ ლიდერმა, გერმანე ფაცაციამ ჯიხაშკარის ტერაქტი იმ ფაქტს დაუკავშირა, რომ აქამდე ხელისუფლების მხრიდან არაფერი თქმულა და გაკეთებულა ტერაქტში ჩაბმულ ხალხთან მიმართებაში, მათი შემორიგების მიზნით. მისივე თქმით, ეს ხალხი „ტყეში ქატოს“ საყრელად არ გაიხიზნებოდა, მათთან შერიგებაზე რომ ეზრუნა ვინმეს.

ფაცაცია ღრმად არის დარწმუნებული, რომ ისინი არც ერთ აყვანილ მძევალს არ მოკლავენ. აქვე ფაცაცია აღნიშნავს, რომ საქართველოს თავისუფლებაზე მხოლოდ მაშინ იქნება ლაპარაკი შესაძლებელი, როცა მთლიანად კავკასია გახდება თავისუფალი და თუმცა თავის დროზე ლამის რეალიზებადი გახდა კავკასიის პარლამენტის იდეა, აქათ რუსეთის სპეცსამსახურებმა გააფუჭეს ყველაფერი თავისი ჩარევით, მითუმეტეს, რომ, ფაცაციას თქმით, არსად არ ჰყავს რუსეთს იმდენი მტოვარი, რამდენიც კავკასიაში. (გეა)

### რა შუაშია სამეგრელო, როცა დაკვეთა მოსკოვისაა?

ეროვნული უშიშროების საბჭოს საინფორმაციო–ანალიტიკური სამსახურის უფროსის მოადგილის, თეიმურაზ კვირკველიას განცხადებით, პრეზიდენტზე განხორციელებული ტერაქტის მონაწილეთა გვარტომობაზე საუბარი სრული აბსურდია, მითუმეტეს, რომ ტერაქტი რუსეთში დაიგეგმა და იქვე შეირჩა შეგნებულად ტერორისტების კონტინგენტიც, რათა დესტაბილიზაციის ეპიცენტრი სამეგრელო ყოფილიყო, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1991–92 წლებში აფხაზეთის საქართველოდან მოწყვეტის ჩანაფიქრით.

თეიმურაზ კვირკველიას თქმით, ამას თუნდაც ის ფაქტი ადასტურებს, რომ მაშინ, როდესაც თბილისში საერთაშორისო მისიის უამრავი ოფისია, მაინცდამაინც სამეგრელოს გაეროს ოფისზე მოხდა თავდასხმა.

თეიმურაზ კვირკველიას განცხადებით, სამწუხაროა, რომ ანტიეროვნული საქმე ეროვნული ლოზუნგებით კეთდება. იგი მიიჩნევს, რომ დესტაბილიზაციის მმართველი ძალა დღესაც მოსკოვშია და ისინი სამშობლოს მოღალატე ქართველები არიან, რომელთაც რუსეთის მოქალაქეობა აქვთ მიღებული და გამტარის როლს ასრულებენ რუსეთის სპეცსამსახურებისათვის. (გეა)

# აუქციონი

## ავეჯი

შევიძენ გერმანული წარმოების ომამდელ მაგიდას და სკამებს. ტელ. 33-08-98

იყიდება შავი ფერის ერთკარიანი „ბულის“ ავეჯი, ბრინჯაოს ფიგურებით და მარმარილოთი, ახლად რესტავრირებული. ტელ. 33-38-86

იყიდება ახალი, შეფუთული „სამეული“. ტელ. 98-62-37

იყიდება პოლონური სასადილო გარნიტური: დესაო – 1 ცალი, გასაშლელი მაგიდა 12 კაცზე 6 სკამით კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. + 6 რბილი სკამი. ტელ. 72-05-20; 72-06-30

რუმინული სამზარეულო. ფასი შეთანხმებით. ტელ. 72-26-31

9 ფოთლიანი გორკა, სამეული იუგოსლავიის მაგიდით, 6 სკამით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 95-25-96

2 სავარძელი, რუმინული წარმოების საწერი მაგიდა, სეკრეტარი. ტელ. 98-57-79 (საღამოს)

გერმანული 9 ფოთლიანი გორკა. კარგ მდგომარეობაში. ფასი 1600 ლარი. ტელ. 52-11-17

ბაროკოს სტილის სასადილო „მონა“ საწყისი ფასი 4500$ ტელ. 39-59-50

ავეჯი „ავრორა“ (რუმინეთის). ფასი 3000$ ახალი, არაბული ტახტი. ფასი 800$ ტელ. 73-73-39

კედელი ტალინის გამოშვება. ყავისფერი. ფასი 900 ლარი. ტელ. 32-5–16 ნესტანი

კაკლის ხის, ანტიკვარული მაგიდა, 160 წლის ფასი შეთანხმებით. ტელ. 39-46-18; 38-43-07 მარინა

რუმინული ავეჯი. საძინებელი გარნიტური „რეჟანსი“. კარგ მდგომარეობაში. ფასი 1500 ლარი. ტელ. 32-26-22; 32-24-22

„ტიულპანის“ კაბინეტი 5 ნაჭერი, საძინებელი 10 ნაჭერი. კარგ მდგომარეობაში. ტელ. 52-19-34; 52-99-85

კაკლის ხის სასადილო, სრული კომპლექტით. კარგ მდგომარეობაში. ფასი 4500$ ტელ. 35-19-05

მუხის ხისგან დამზადებული 2 კომოდი. ერთი ხეში ამოჭრილი ჩუქურთმებით, მეორე ანტიკვარულ სტილში გორკა, დესაო, მაგიდა. ტელ. 64-53-15

საძინებელი გარნიტური „ლუდოვიკო“. ტელ. 78-45-17

ახალი საძინებელი „მირაჟი“ რუმინული. ფასი 1900 ლარი. საძინებელი „შოთა“ ნახმარი. ფასი 1300 ლარი. ტელ. 67-43-77

საძინებელი გარნიტური: ორადგილიანი ტახტი, ტრილიაჟი-ტუმბო, 2 პატარა ტუმბო, ტრილიაჟი სკამით, ჩუქურთმებით. ფასი 1000 ლარი. სერვანდი რუმინული, ბარით. კარგ მდგომარეობაში. ფასი 400$ ტელ. 96-87-11

საწერი მაგიდა თავისი სავარძლით. ტელ. 78-56-15

## ტექნიკა-დანადგარი

ვიდეო კასეტის გადასახვევი ფირმა „ნოვა“. ფასი 30 ლარი. ფირმა „ჯონსონი“. ფასი 35 ლარი. ტელ. 22-30-66

4 კარიანი მაცივარი რუსეთის წარმოების, გამოდგება სუპერმარკეტში. ტელ. 93-11-71 (დილით); 22-85-84 (საღამოს)

ზეთის სახდელი გენერატორით, საფქვავით. ტელ. 38-50-90

იაპონური 2 კასეტიანი მაგნიტოფონი. ფასი 60 ლარი ტელ. 96-35-71

მუსიკალური ცენტრი „ვეგა 115“ დიდი კოლონკებით. ფასი 200 ლარი ტელ. 96-35-71

ლიმონათის ჩამოსასხმელი დანადგარები. დაგეხმარებით დამონტაჟებაში. ტელ. 61-21-34

ბატი-ბუტის დანადგარი „პოპ-კორნი“. ფასი 180 ლარი. პლასტმასის ჩამოსასხმელი დანადგარი „შპიცარისი“. ფასი 200 ლარი. ტელ. 96-02-29 იკ. შალვა

წყლის დასაგაზი დანადგარი გამოდგება ლუდისათვის. რეცხავს ჰიქებსაც. ტელ. 37-74-71

ზეთის სახდელი აგრეგატი. წარმადობა 8 სთ-ში 1 ტ. მზესუმზირა. ტელ. 53-39-36

ლუდის ჩამოსასხმელი დანადგარი. ფასი 600$ ტელ. 74-46-04

ვულკანიზაციის დანადგარი კომპლექტში. ფასი 300$ ტელ. 22-32-83 (10 სთ-ის შემდეგ)

მოძრავი ლუდის სარეალიზაციო კასრი მაცივარ-დანადგარით მუშა მდგომარეობაში. ტევადობა 10000 ლიტ. ტელ. 96-53-09 დათო

პურის საცხობი ღუმელი. ორი ცომსაზელით. გაყიდვა შეიძლება ცალ-ცალკე. ტელ. 38-39-74 იკ. გია

შამპანიურის ჩამოსასხმელი ხაზი, სრული კომპლექტით. მუშა მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ. 32-09-57

გორის წარმოების წისქვილი 250 კგ სთ-ში ფქვავს სიმინდსა და ხორბალს. საორიენტაციო ფასი 5000$ ტელ. 38-83-15 ეთერი 37-63-82 ლევანი

არყის ჩამოსასხმელი მინი ქარხანა. ტექნოლოგიური ხაზით. ტელ. 96-86-11 (10 სთ-ის შემდეგ

ხორბლის ელექტრო საფქვავი დანადგარი წარმადობა 1 სთ-ში 1ტ. უკრაინის გამოშვება. ტელ. 38-68-17 ირაკლი

ფერადი ტელევიზორი „რეკორდი 726“ ფასი 50 ლარი ტელ. 30-63-26

მაცივარ-საყინულე „მინსკი 118-1“ ახალი ფასი 600 ლარი. ტელ. 98-59-95 დღისით; 52-12-67 საღამოს გივი

გერმანული სარეცხის მანქანა „პრიველეგ-83“ ფასი 300 ლარი.

ტელ. 60-39-83

მაცივარი „სარატოვი“ მუშა მდგომარეობაში. ფასი 50 ლარი. ტელ. 96-67-83

იტალიური წარმოების გენერატორი. ფასი 420$ ტელ. 96-16-88 17 სთ-ს შემდეგ

## სხვადასხვა

იყიდება არყის ჩამოსასხმელი მინი-ქარხანა. ტექნოლოგიური ხაზით, საკუპაჟე ფილტრებით და სხვა. შენობა 250 კვ.მ ფასი შეთანხმებით. ტელ. 96-86-11; 37-32-71 (11-18)

იყიდება 6 კვ.მ ჯიხური ადგილის გარეშე ტელ. 93-11-71 (დილით) 22-85-84 (საღამოს)

საქსოვი მანქანა „ნივა-5“ ფასი 100 ლარი. ტელ. 98-68-69

იყიდება 2 ცალი რკინის ავზი, თითოეული 9 ტონა ტევადობის, ფასი შეთანხმებით. ტელ. 52-54-69 (სამსახური); 52-82-80 (სამსახური) იკითხეთ. ნანი

იყიდება გერმანული ხელის საკერავი მანქანა „ზინგერი“ 150 წლის. ფასი შეთანხმებით. ტელ. 67-06-88

ვიღებ შეკვეთებს მატყლის საბნებსა და ლეიბებზე. ფასი შეთანხმებით. ტელ. 63-60-32

იყიდება ახალი პიანინო „პეტროფი“ 3 პედლიანი, მაღალი. ტელ. 38-59-18

ვკერავ ლეიბებსა და საბნებს შეღავათიან ფასებში. ვ.ფშაველას 25ა მე-3 სად. 1 სართ. ბინა 32 ტელ. 37-31-20

ქირავდება ა/ფარეხი ი.აბაშიძის ქ. №29 ფასი შეთანხმებით. ტელ. 23-09-23

იყიდება ვარკეთილის მეტროსთან, ბაზრობის შესასვლელთან მომქმედი მაღაზია 160 კვ.მ ფართით და ამავე ფართის ეზოთი, აგრეთვე შამპანურის საამქროთი დანადგარებთან ერთად. საწყისი ფასი 150000$ ტელ. 37-21-42

იყიდება ახალი იუგოსლავიური გაზქურა, ახალი პირსაბანი „ტულპანი“, ჩეხური უნიტაზი, ხელსაბანი კარადით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 72-05-20 (11-17 სთ-მდე); 72-06-30 (18 სთ-ის შემდეგ)

სამუშაოდ ვიწვევთ კვალიფიციურ ხაჭაპურის მცხობელ ქალბატონს. (აჭარული, ფენოვანი, იმერული) ტელ. 64-58-42

ახალი, იაპონური სადილის სერვიზი 24 კაცზე, 130 ნაჭერი. ფასი 450 ლარი. ტელ. 96-35-71

შრიის მარცვალი სათესლეთ ფასი 1 კგ 30 თეთრი ტელ. 53-31-88

კრაველის ქურქი ზომა 48 ფასი 150 ლარი ტელ. 150 ლარი ტელ. 23-12-76

ინვალიდის ეტლი. ახალი ფასი 250 ლარი ტელ. 39-43-07

რკინის ცეცხლგამძლე სეიფი-კარადა. ზომა 50X36 ფასი 50 ლარი. ტელ. 93-14-53

იყიდება დათვის ნაღველი. ტელ. 33-16-92 სვეტა

ახალი ხალიჩა 2X3 ფასი 100 ლარი ტელ. 52-60-74

ჟანგბადის კომპრესორი. სამუშაო წნევა 150 ატმოსფერო. ტელ. 877-41-01-56

## მასალები

იყიდება ალუმინის სილოსი 100 კუბ.მ მოცულობის. ტელ. 33-58-37

შევისყიდი ყველანაირ სამშენებლო მასალას. ტელ. 29-09-55

იყიდება ლამინირებული მერქან-ბურბუშელოვანი ფილა სხვადასხვა ფერი (გერმანული წარმოების) ზომა 2750X1380X18 ფასი შეთანხმებით. ტელ. 34-14-98; 94-67-45 (გივი საღამოს სთ-ში)

„კემპის“ შედუღების მავთული. ფა 1,2 მმ 30 კგ. იაფად. ტელ. 96-19-79 იკ. გია 18 სთ-ის შემდეგ

კაფელი ზომა 20X30 სმ აუზებისთვის 25 კვ.მ 1 კვ-მ-ის ფასი 4 ლარი ტელ. 61-26-63

მუხის პარკეტი 20 კვ.მ ფასი შეთანხმებით. ტელ. 61-54-60

თეთრი მარმარილოს მოსაპირკეთებელი ფილები ზომით 30 სმ X40 სმ 2 სმ. სისქით. სულ 16 კვ.მ ფასი შეთანხმებით. ტელ. 72-52-38; 72-49-63 ალეკო

წაბლის კარები აჟურული მინით. ოთხი ცალი. 1 ც. ფასი 100 ლარი ტელ. 29-08-08 იზო

---

ვყიდი სასწრაფოდ ავტომანქანა **BMW735** 1988 წლის გამოშვება საუკეთესო მდგომარეობაში ფასი 7000$ ტელ. 38-03-51

---

ვისაც გსურთ სკოლის მოსწავლეების მომზადება რელიგიის საწყისებში, ფიზიკა-მათემატიკაში, რუსულ ენასა და მუსიკაში (ფორტეპიანო)

დამიკავშირდით ტელეფონით 53-45-58 ფასი შეთანხმებით. იკითხეთ: ვალერიან ქიტუაშვილი

---

**დიღმის მასივი**

იყიდება 3 ოთახიანი ბინა ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. მე-3 კვ-ში. ტელ. 94-84-38

---

იყიდება 2 ცალი ასლის გადამღები (ქსეროქსი) ფირმა „შარფი“ წუთში იღებს 16 ცალ ფურცელს, წონა 48 კგ. ახალი გაუხსნელი. ფასი 2200$ ტელ. 96-90-87 (10-17 სთ-მდე)

---

ნინო მსხილაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ყოველივე კარგს ოჯახთან და ახლობლებთან ერთად.

თანამშრომლები: ვერიკო ლვაჩლიანი, ნანა მეგრელაძე, ნინო იმედაძე, ლაურა გილაური, ლამარა ნასყიდაშვილი, ციალა ჩოხელი

---

**ვყიდი დიდუბეში მაღაზია „მიცუბიში მოტორსის“ უკან, გაუმჯობესებული ყავლაშვილის პროექტის 3 ოთახიან სარემონტო ბინას IX სართ. სარდაფით. ბინის საერთო ფართია 120 კვ.მ იგივე ფართის მანსარდით. ფასი 35000$**

**ტელ. 34-75-86 ნანა; 74-05-41 ნანა; 95-55-28 ნინო საღამოს**

---

2 ოთახიანი გარემონტებული ბინა დიღმის მასივში. მიშენების პერსპექტივით, ტელეფონით, რკინის კარებით ტელ. 52-57-21; 52-40-74 მის. დ.მას. მე-6 კვ 22ბ კორპ. 8 სართ. ბ 43 იკ. მაია

---

იყიდება ორსართულიანი კაპიტალური სუფთა სახლი, თუნუქით გადახურული, დიდი ვერანდით, მარნით, სასმელი და სარწყავი წყლით, დიდი ხეხილის ბაღით 1 ჰექტარი მიწით 2 ალაყაფის კარებით, რიყის ქვით შემოღობილი, სათავსოებით. ლაგოდეხის რ-ნი სოფ. ხოშატიანი საორიენტაციო ფასი 3500$

ტელ. 52-81-15

---

იყიდება 3 ოთახიანი ბინა 6 (8) 44 კვ.მ მიშენებით მეტრო „ღრმაღელესთან“. ჩაშენებული კარადებით, დამატებითი სათავსოთი, ტელეფონით. სველი წერტილები ჭერამდე კაფელშია. ფასი 16000$ მისამართი: სანზონა, 3ბ კორპ. I სად. VI სართ. ბინა 16

ტელ. 61-69-29

---

**სწრაფად, იაფად, ხარისხიანად!!!**

პარკეტის დაგება, გახეხვა და ლაქით შეღებვა

ტელ: 98-26-92; 96-90-87

---

ყურადღება

ორგანიზაცია იქირავებს (შესყიდვის უფლებით) მსუბუქ ავტომანქანას 2000-დან 6000 ლარამდე. თანხის დაფარვა 4-6 თვეში. ტელ. 96-90-87

---

იყიდება განვადებით მსუბუქი ავტომანქანა NISAN-BLUEBIRD 1984 წლის გამოშვება, თეთრი ფერის, ძრავი 1,8 ბენზინზე. საჭე მარჯვენა მხარეს, ავტომატიკა კარგ მდგომარეობაში. ფასი 1600$ 4-5 თვეში თანხის დაფარვით.

ტელ. 96-90-87

---

იყიდება ვაზ-210011 1982 წლის გამოშვება. ახალი გარემონტებული ძრავით. საწყისი ფასი 1200$

ტელ. 93-19-99 (დღისით);
38-51-35 (საღამოს) ირაკლი

---

ვასწავლი თურქულ ენას (წერას, კითხვას, სასაუბრო ენას გრამატიკულად). ტელ. 96-99-72

---

EXPRESS AUDIT SERVICE

ექსპრეს-აუდიტ სერვისი

ლიცენზია N 091:
გთავაზობთ აუდიტორულ მომსახურეობას
ზოგად აუდიტში

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება;
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები;
3. ქონების შეფასება-გადაფასება;
4. ბუღალტრული მომსახურეობა;

თბილისი, თავისუფლების მოედანი. პუშკინის ქ.5 მე-2 სართ.
ტელ: 93-15-89

# ქართულ სისხლს არავის შევარჩენ

მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე კლასიკური სტილის მოჭიდავე რომან რურუა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე დავით პერტენავა ერთ ოთახში ცხოვრობდნენ.

დავითი ცდილობდა დასვენებისა და კვების ყველა პირობა შეესრულებინა რომანისათვის. თვითონ დიეტაზე იყო, მაგრამ იცოდა, რომ რომანს ცხარე საჭმელები უყვარდა და რომანისათვის საყვარელ ეროვნულ კერძებს სიცხარეს არ აკლებდა და თვითონაც მასთან ერთად მიირთმევდა. როგორც დავითი ამბობს, მერე ძალიან უჭირდა, მაგრამ ამას რომანისათვის აკეთებდა. იაპონელ მოჭიდავესთან შეხვედრის დროს რომან რურუას სისხლი წასკდა, შეხვედრის შემდეგ რომანმა განაცხადა, რომ მე ქართულ სისხლს არავის შევარჩენო, - თქვა და შეასრულ კიდეც. ერთადერთმა მოიპოვა ოქროს მედალი საბჭოთა კავშირის კლასიკურ მოჭიდავეთა ნაკრები გუნდიდან.

# ვინ არიან ესენი?

ძიუდოში საასპარეზოდ, საბჭოთა კავშირის ნაკრების სახელით, იაპონიაში ჩავიდა საქართველოს ნაკრები გუნდი, რომელსაც ლურჯი ფერის, ცუდი შესახედაობის კიმანოები ჰქონდა.

ამერიკელებმა და სხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა გაკვირვებით თქვეს - ვინ არიან ესენი, ხეირიანი ფორმაც რომ არა აქვთო? დაიწყო შეჯიბრება. ამერიკელები შეხვდნენ იაპონიის მე-8 გუნდს და ყველა შეხვედრა წააგეს.

ჩვენი გუნდი შეხვდა იაპონიის მე-4 გუნდს და გაიმარჯვა დიდი ანგარიშით, უმეტესად „იპონით". შემდეგ ყველა შეხვედრა მოიგო და ფინალში იაპონიის პირველ გუნდს შეხვდა. ფინალური შეხვედრაც ჩვენმა ფალავნებმა მოიგეს და დაიკავეს პირველი ადგილი.

ბანკეტზე მასპინძლებმა რაღაც მოიტანეს და ყველას დაურიგეს ჩვენი გუნდის გარდა. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბიძინა მაზიაშვილმა ვეღარ მოითმინა და მასპინძლებს უსაყვედურა - ჩვენ რატომ არ გვაძლევთ ამ რაღაცასო. შემდეგ გაირკვა, რომ იაპონელებს თურმე რუქები დაუმზადებიათ და დაურიგებიათ სხვების მოთხოვნით, რომ გაეგოთ, თუ სად იყო საქართველო.

ანზორ კვირიკაშვილი

# კონფედერაცია არ დავვავიწყდეს

ეროვნული უშიშროების საბჭოს საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის უფროსის მოადგილის, თეიმურაზ კვირკველიას განცხადებით, საქართველოში დესტაბილიზაციის მოწყობის მცდელობაში არაფერ შუაშია ჩეჩნეთის სახელმწიფო, მაგრამ არავის არ უნდა დაავიწყდეს კავკასიის ხალხთა კონფედერაცია, რომელმაც თავის დროზე დიდი როლი ითამაშა აფხაზეთის კონფლიქტში და სერიოზული მოწინააღმდეგე ძალა წარმართა საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ.

კვირკველიას თქმით, მართალია, კონფედერაციას დღეისათვის მხოლოდ ფორმალური სახე აქვს, მაგრამ იგი კონფედერაციის სახეცვლილი ვარიანტია ჩეჩნეთის ბაზაზე რუსეთის სპეცსამსახურების ინიციატივით შექმნილი კავკასიური სახლი, სადაც სხვა ნეგატიურ ძალებთან ერთად საქართველოს წარმომადგენლებიც არიან გაერთიანებულნი.

თეიმურაზ კვირკველიას განცხადებით, ტერორისტებმა, რომლებიც დღევანდელ მოვლენებში არიან ჩართულნი, სწორედ ამ კავკასიური სახლის ბაზაზე, სალმან რადუევის 5-ათასიან შენაერთში გაიარეს მომზადება. აღნიშნულ შენაერთს, მისი თქმით, წმინდა სადაზვერვო ფუნქცია აკისრია და დიდი სიამოვნებით მიიღებს საქართველოს რადიკალთა მიერ წაყენებულ მოთხოვნას, დაეხმაროს მათ ე.წ. „კანონიერი მთავრობის" აღდგენაში. (გეა)

# პროცესი არ შედგა

დიდუბის რაიონის სასამართლოში გუშინ დანიშნული სასამართლო პროცესი, რომელსაც განათლების სამინისტროს წინააღმდეგ, ტოფიკ გაჯიევის მარნეულის რაიონის განათლების განყოფილების გამგეობიდან განთავისუფლების უკანონოდ ცნობასა და მისი თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე შეტანილი სარჩელი უნდა განეხილა, არ შედგა.

პროცესის გადადების მიზეზი მოპასუხე მხარის, განათლების სამინისტროს დამცველის, გოჩა სვანიძის თხოვნა იყო, რომელმაც საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით პროცესის ორი დღით გადავადება ითხოვა.

სასამართო პროცესი დიდუბის რაიონის სასამართლოში 26 თებერვალს გაიმართება. (გეა)

გაზეთ „საქართველო"-ს რედაქტორად დანიშნულია სერგო ჯანაშია, გაზეთის დირექტორად დანიშნულია ელგუჯა ჩხაიძე.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი


## გამოიწერეთ გაზეთი

# საქართველო

ხელმოწერა შეიძლება ქ.თბილისის პრესის გავრცელების სააქციო საზოგადოება „მაცნეს" ხელმოწერის რაიონულ უბნებში შემდეგ მისამართებზე:

- მოსკოვის გამზირი 18, ტელ. 71 32 87
- გლდანის რაიონი, დუმბაძის 4 (ა) კორპუსი, ტელ. 62 75 32
- დ.გურამიშვილის გამზირი 30, ტელ. 60 80 22
- ივ.ჯავახიშვილის (კალინინის) ქ.№14 ტელ. 95 87 36
- ქეთევან წამებულის გამზ. 61, ტელ. 74 14 47
- აკ.წერეთლის გამზ. 73, ტელ. 34 75 51
- რ.თაბუკაშვილის ქ.№12
- ჭავჭავაძის გამზ. 46, ტელ. 22 64 58
- ცენტრალური ოფისი, კ.გამსახურდიას გამზ.42, ტელ. 37 47 49, 93 43 97

ორგანიზაციებს შეუძლიათ, მიიწვიონ „მაცნე"-ს წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად. ხელმომწერს შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მიღების მისთვის ხელსაყრელი ფორმა.


# მითოლოგიური კროსვორდი



ჰორიზონტალურად: 1. ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული ლონიერი გმირი; 3. მითიური გმირები, რომლებიც კოლხეთში ოქროს საწმისის მოსატაცებლად ჩამოვიდნენ; 6. დედამიწაზე ეტლით მსრბოლელი; 8. კოლხეთის მეფის აიეტის ქალიშვილი, ვისი დახმარებითაც მოიტაცეს ოქროს საწმისი; 11. სინათლის, ხელოვნებისა და წინასწარმეტყველების ღმერთი; 12. ცხრა და, ხელოვნების მფარველნი; 13. ბერძენთა უძველესი ღვთაება, პატივცემული ქალბატონი; 16. სახელი, რომელიც შავ ზღვას ერქვა; 17. კოლხეთის უძველესი სახელი; 19. მფრინავი, მრავალთავიანი, ცეცხლმფრქვეველი გველეშაპი; 20. მზის ღმერთი; 22. გმირ-მელაგრეს მეუღლე. მხოლოდ მან შეძლო გმირის დაყოლიება და იხსნა ქ.კალიდონი; 25. სიხარულის, კმაყოფილების გამომხატველი წამოძახილი, რისამე აღმოჩენის დროს; 26. აიეტის სამეფო; 28. კუდიანი ვარსკვლავი; 29. ძველი ბერძნული პოემა, რომელსაც ჰომეროსს მიაწერენ; 32. ყუთი, რომელშიც თავმოყრილი იყო ყოველგვარი უბედურება, მისი გახსნის შედეგად ეს ყველაფერი დედამიწას მოეფინა; 39. ის, რაც მოსტაცა პრომეთემ ღმერთებს და კაცობრიობას აჩუქა; 35. მარადიული შუქი, დედამიწის გარემომცველი სხივოსანი გარსი; 36. ნიჭითა და სიდიადით გამორჩეული ადამიანი; 38. მართლმსაჯულების დამცველი ქალღმერთი, პრომეთეს დედა; 39. რიონის ძველი სახელწოდება; 41. ქალაქი ძველ საბერძნეთში, რომელიც დაანგრია მიწისძვრამ; 43. ზღვის მშვენიერი ქალწულები: 45. ზევსის მეუღლე, რომელიც გედად იყო ქცეული; 46. იმპერატორის ტიტული ძველ რომში; 47. ვერცხლის ფული ძველ საბერძნეთში; 48. ბერძენთა უმამაცესი გმირი, მას ჰქონდა სუსტი ადგილი, ქუსლი, სადაც შეიძლებოდა მისი დაჭრა; 52. უმთავრესი ღვთაება მონადირე, ცხოველთა მფარველი; 57. უზენაესი ღმერთი, ითვლება ღმერთებისა და ადამიანების მამად და მეფედ; 60 არგონავტების ხომალდის სახელი: 61. ბერძენთა ტრაგიკოსთა ბრწყინვალე წარმომადგენელი, 92. დრამის ავტორი: 62. მინოსის ხარი, ხარკაცა, კეტის ლაბირინთში.

ვერტიკალურად: 1. „ილიადა" და „ოდისეა"-ს ავტორი, ბერძენი პოეტი; 2. ქალაქი თესალიაში, შემდეგ მისი სახელი მთელ საბერძნეთს ეწოდა; 3. მეომარ ქალთა მითიური ტომი; 4. პატარა ქალი, ზევსის ასული; 5. ათენელი ლეგენდარული მეფე, რომლის სახელი შემდგომ ზღვას ეწოდა; 6. ძვ.ბერძენი ფილოსოფოსი; 7. არგონავტების ხელმძღვანელი; 9. ქალაქი კოლხთა ქვეყანაში; 10. ოიდიპოსის ერთ-ერთი ქალიშვილი; 14. გენიალური ბერძენი ტრაგიკოსი; 15. ლეგენდარული ქალაქ-სიმაგრე; 18. კაცთა მოდგმის ქომაგი, რომელმაც ოლიმპოდან ცეცხლი მოიტაცა და კაცობრიობას აჩუქა; 19. აგროსის მეფის 50 ქალიშვილი, რომლებმაც დახოცეს თავიანთი ქმრები, ამ დანაშაულისათვის დააკისრეს უძირო კასრების წყლით ავსება; 21. სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთი, რომელიც დაიბადა ზღვის ქაფიდან; 23. ქართული თქმულების მიხედვით, კაცი, რომელიც მიაჯაჭვეს კავკასიონის ქედს; 24. მრავალი დახლართული შესასვლელისა და გამოსასვლელის მქონე შენობა, მეფე მინოსის სახლი; 27. ძველი ბერძნული ეპოსის „ილიადას" და „ოდისეის" გმირი, კუნძულ ითაკის მეფე; 29. მეფე, რომელმაც მამა მოკლა და დედა შეირთო ცოლად; 30. კოლხეთის მითოლოგიური მეფე, მედეას მამა; 31. ერთ-ერთი გმირი, რომელიც უძლეველი იყო, ვიდრე მიწას (თავის დედას) ეხებოდა, დაამარცხა ჰერაკლემ. ჰაერში აიტაცა და ისე დაახრჩო; 33. ინდუიზმის სამების უმაღლესი ღვთაება, რომელიც მიაჩნიათ სამყაროს შემქმნელად; 37. პოეზიისა და მუსიკის სიმბოლო; 40. მეფის ასული, რომელმაც ძაფის გორგალით ლაბირინთიდან უკან გამოსასვლელი გზა უჩვენა - ათენელ გმირს თეზევსს; 42. აქილევსის სუსტი ადგილი; 44. ეგვიპტის მთავარი „დედა მდინარე"; 49. ტყის ღვთაებრივი ვერძისა; 50. კლდე, რომელზეც მითის თანახმად მიჯაჭვული იყო საბერძნეთის უდიდესი გმირი პრომეთე; 51. ადამიანი, რომელიც სარეცელზე ხალხს აწვენდა, რომელიც მასზე გრძელი იყო, ფეხებს აჭრიდა, მოკლეს უჭიმავდა; 52. ზღვის ქალღმერთი, პოსეიდონის ცოლი; 53. აქილევსის დედა; 54. უზარმაზარი ყუთი, რომელიც გააკეთა დევკალიონმა წარღვნის დროს; 55. შუქის მთა - ცა - ღმერთების სამყოფელი, სადაც ზევსის ტახტი იდგა; 56. სიყვარული, მიჯნურობა; 58. სიყვარულის ღმერთი, გამაცოცხლებელი დიადი ძალა - სიყვარული; 59. თაელა, რომელიც არ იწმინდებოდა, 30 წლის განმავლობაში და ერთ დღეს გაწმინდა ჰერაკლემ.


მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444